



ფინანსთა
სამინისტრო



შემოსავლების
სამსახური

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის

2022 წლის ანგარიში

უარიანოება გარეგანი

ფინანსთა სამინისტროს
შემოსავლების სამსახურის

2022 წლის
ანგარიში



პირველი რიგი
(მარცხნიდან მარჯვნივ)

დინარა ჩუბინიძე
იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

ნინო ყველაშვილი
ადამიანური რესურსების
მართვისა და განვითარების
დეპარტამენტის უფროსი

ლევან კაკაბა
შემოსავლების სამსახურის უფროსი

ია იაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის
და მარკეტინგის დეპარტამენტის
უფროსის მოვალეობის
შემსრულებელი

ნინო ფოღიაშვილი
დავების დეპარტამენტის უფროსი

მეორე რიგი
(მარცხნიდან მარჯვნივ)

გიორგი ბუბუთიშვილი
შიდა აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

სამსონ შრიდია
საერთაშორისო ურთიერთობათა
დეპარტამენტის უფროსი

ნოდარ კაკრიაშვილი
საინფორმაციო ტექნოლოგიების
ცენტრის უფროსი

ზაზა თაბაგარი
ანალიტიკური დეპარტამენტის
უფროსი

ზურაბ სიჭინავა
საბაჟო დეპარტამენტის უფროსი

პაატა კილაძე
სამსახურის უფროსის პირველი
მოადგილე

ლევან წითელაშვილი
შემოსავლების სამსახურის
უფროსის მოადგილე

რომან ბულაძე
მეთოდოლოგიის დეპარტამენტის
უფროსი

ვლადიმერ ხუნდაძე
სამსახურის უფროსის მოადგილე

მიხეილ ახვლედიანი
ფინანსური დეპარტამენტის უფროსი

ლევან დგებუაძე
მომსახურების დეპარტამენტის
უფროსი

მესამე რიგი
(მარცხნიდან მარჯვნივ)

ლევან ბერაძე
სამსახურებრივი მონიტორინგის
დეპარტამენტის უფროსი

ზაალ ტყეშელაშვილი
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

ირაკლი შარტავა
შემოსავლების სამსახურის
უფროსის მოადგილე



შემოსავლების
სამსახური

შემოსავლების
სამსახური



REVENUE
SERVICE



ლევან კაკავა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს
შემოსავლების სამსახურის უფროსი

მოქალაქეებო, კოლეგებო, საერთაშორისო პარტნიორებო, ქალბატონებო და ბატონებო, მოხარული ვარ წარმოგიდგინოთ შემოსავლების სამსახურის 2022 წლის საქმიანობის ანგარიში.

ანგარიშში განხილულია ჩვენი საქმიანობის შედეგები და მიღწევები, რომელიც თანხვედრაშია საქართველოს მთავრობის, ფინანსთა სამინისტროსა და სამსახურის სტრატეგიულ მიზნებთან და მისწრაფებასთან, გადასახადებისა და საერთაშორისო ვაჭრობის ეფექტიანი და სამართლიანი ადმინისტრირებით ხელი შევუწყოთ ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას.

2022 წელი უპრეცედენტო გამოწვევებით ხასიათდებოდა, გრძელდებოდა რა პოსტპანდემური პერიოდისა და გლობალური დათბობის ზეგავლენა მსოფლიო ეკონომიკასა და საზოგადოებაზე, რასაც თან დაერთო რეგიონში მიმდინარე საომარი მოქმედებები.

შეცვლილ გარემო პირობებს შემოსავლების სამსახურმა მყისიერად შეუსაბამა საკუთარი საოპერაციო სტრატეგია, დანერგა კრიზისით დაზარალებული ბიზნესისა და მოქალაქეთა მხარდამჭერი ზომები. ამასთან, შევინარჩუნეთ ჩვენი ძირითადი კურსი, გადასახადის გადამხდელებსა და საზოგადოებას მივანდოთ დროული და ზუსტი ინფორმაცია, შევთავაზოთ წინასწარ განჭვრეტადი და მარტივი ბიზნესპროცესები, ასევე მოქნილი გადაწყვეტილებებით შევუმსუბუქოთ საგადასახადო ტვირთი მოულოდნელი ცვლილებებით აღსავსე დროში.

ჩვენმა გუნდმა გააძლიერა ძალისხმევა საგადასახადო შემოსავლების მობილიზებისთვის, რადგან ვაცნობიერებთ მის გადამწყვეტ როლს საჯარო სექტორის მიერ განხორციელებულ მომსახურებისა და საჯარო სივრცეების დაფინანსებაში. მონაცემთა ანალიზის მოწინავე მიდგომების გამოყენებით, კანონმდებლობის პროგრამების გაუმჯობესებითა და რისკების მართვის ეფექტიანი სისტემების დახვეწით მნიშვნელოვანი შედეგები იქნა მიღწეული საგადასახადო შემოსავლების მობილიზების პროცესში.

შემოსავლების სამსახური პროაქტიულად რეაგირებს რეგიონში არსებულ რთულ გამოწვევებზე, ვაძლიერებთ საბაჟო კონტროლს, საერთაშორისო ინფორმაციის ურთიერთგაცვლას, ინტენსიური ძალისხმევა მიმართულია კონტრაბანდისა და არალეგალური ვაჭრობის წინააღმდეგ, მათ შორის განსაკუთრებული ყურადღების ქვეშაა საერთაშორისო სანქციების აღსრულების პროცესი. სხვა სახელმწიფო უწყებებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით უზრუნველვყოფთ საბაჟო პროცედურების გამართულად მუშაობას. ბუნებრივია, სამსახურის გუნდის თითოეული წევრი აგრძელებს მნიშვნელოვანი წვლილის შეტანას ქვეყნის ევროინტეგრაციის დღის წესრიგში.

ვაუმჯობესებთ ნაყოფიერ თანამშრომლობას კერძო სექტორთან, სხვა საჯარო უწყებებთან და უცხოელ პარტნიორებთან. აღნიშნული თანამშრომლობა განმტკიცებულია ინფორმაციის ურთიერთგაცვლით, ერთობლივი ღონისძიებებითა და ინსტიტუციონალური შესაძლებლობების გაძლიერების ერთობლივი ინიციატივებით.

ვჭვრეტთ რა მომავალს, ვინარჩუნებთ ერთგულებას გამოწვევების დაძლევისა და ახლად გამოვლენილი შესაძლებლობების გამოყენებისადმი; ვაცნობიერებთ საგადასახადო ადმინისტრაციების მუდმივად ცვლად გარემოს და მისდამი ადაპტირებისათვის აუცილებელ მუდმივ ინოვაციას. უახლოესი ტექნოლოგიების გამოყენებით, საქმიანობის შედეგების სრულყოფისადმი მიდრეკილი კულტურის დამკვიდრებითა და საკუთარი ადამიანური რესურსების განვითარებაში ინვესტირებით, მომავალშიც გავაძლიერებთ ჩვენს შესაძლებლობებს და დავიმკვიდრებთ მოწინავე პოზიციებს თანამედროვე საგადასახადო ადმინისტრაციებს შორის.

დიდ მადლობას გამოვხატავთ ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების მიმართ სამსახურის მოდერნიზაციის პროცესში შეტანილი დიდი წვლილისთვის.

გამოვხატავ ღრმა პატივისცემას შემოსავლების სამსახურის ერთგული თანამშრომლებისადმი, რომელთა შრომისმოყვარეობა, ცოდნა და გამოცდილება წარმატებების მიღწევის გადამწყვეტი ფაქტორია გამოწვევებით აღსავსე ცვალებად გარემოში.

მსურს, უღრმესი მადლობა გადავუხადო გადასახადის გადამხდელებს კანონმორჩილი ქცევის, ნდობისა და მხარდაჭერისთვის. ჩვენ ერთად უნდა უზრუნველყოთ ქვეყნის მდგრადი განვითარება და წარმატებული მომავალი.



სარჩევი

შემაჯამებელი მიმოხილვა	6
შემოსავლების სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურა	10
საგადასახადო შემოსავლების ძირითადი მაჩვენებლები	11
სტრატეგიული მიზანი I საგადასახადო და საბაჟო ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული კანონშესაბამისობის ამაღლება	14
სტრატეგიული მიზანი II ორგანიზაციის ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება და მდგრადობა	26
სტრატეგიული მიზანი III საერთაშორისო თანამშრომლობა	32
2022 წელს განხორციელებული სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები	38
საგადასახადო და საბაჟო სერვისების სრულყოფისა და განვითარების უზრუნველსაყოფად გაწეული ხარჯები	44
სოციალური აქტივობა	46
სტატისტიკური მონაცემები	48



▶ შემაჯამებელი მიმოხილვა

შემოსავლების სამსახური მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებაში. 2022 წელს აქცენტები გაკეთდა პოსტპანდემიური პერიოდის მართვაზე, საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრირების გაუმჯობესებასა და ევროკავშირთან ინტეგრაციული პროცესების მხარდაჭერაზე.

შემოსავლების სამსახური აქტიურად იყო ჩართული გლობალური პანდემიის ფონზე ქვეყანაში არსებულ გამოწვევებთან გამკლავების პროცესში. განხორციელდა ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იყო პანდემიის დროს დაზარალებული ბიზნეს სექტორების ეკონომიკური საქმიანობის სწრაფად აღდგენის ხელშეწყობასა და მათ მიმართ კანონმდებლობის ტვირთის შემსუბუქებაზე. სამსახურმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებაში, რომლის მიხედვითაც, ტურისტული სექტორისა და მასთან გათანაბრებული სექტორის მენარმე სუბიექტები გათავისუფლდნენ 2021 წლის ქონების გადასახადისგან.

სწრაფი ტექნოლოგიური განვითარების ეპოქაში, დისტანციურ სერვისებზე გაზრდილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, შემოსავლების სამსახურმა 2022 წელს განახორციელა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, მათ შორის, უახლესი ციფრული მოთხოვნების შესაბამისი საინფორმაციო და მეტოლოგიური ჰაბის - infohub.rs.ge ამოქმედება, სადაც ცენტრალიზებულია სხვადასხვა ტიპის, მუდმივად განახლებადი, როგორც საგადასახადო, ასევე, საბაჟო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია. ონლაინ პლატფორმაზე განთავსებული ინფორმაცია ხელმისაწვდომია როგორც სამსახურის თანამშრომლებისთვის, ასევე, გადასახადის გადამხდელთათვის.

შემოსავლების სამსახური მუდმივად ორიენტირებულია ხელი შეუწყოს გადასახადის გადამხდელთა ნებაყოფლობითი კანონმდებლობის ამალგებას მაღალი ხარისხის მომსახურების შეთავაზებით და ამავდროულად, სამართალდარღვევების გამოვლენისა და აღმოფხვრის მიზნით, გამჭვირვალე, სამართლიანი და ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელებით.

შემოსავლების სამსახურმა 2022 წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა კანონმდებლობის და საგადასახადო რისკების მართვის გაძლიერების მიმართულებით. 2022 წელს განახლდა „2022-2023 წლების კანონმდებლობის გაუმჯობესების გეგმა“, რომელიც ეფუძნება სამსახურის სტრატეგიას და გადასახადის გადამხდელის 4 ფუნდამენტურ ვალდებულებას: რეგისტრაციას, საგადასახადო ვალდებულებების დროულ დეკლარირებას, დეკლარირებული მონაცემების სისწორეს და კუთვნილი გადასახადების დროულ გადახდას. აღნიშნული გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები აუმჯობესებს და ქმნის ჯანსაღ საგადასახადო გარემოს.

საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, 2022 წელს განხორციელდა „2022-2023 წლების კანონმდებლობის გაუმჯობესების გეგმით“ განსაზღვრული საგადასახადო რისკის შემცირების ღონისძიებები, რაც ითვალისწინებს, ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული შესაძლო შეუსაბამოების შესახებ, გადასახადის გადამხდელთა ადრეულ ეტაპზე ინფორმირებას. აღნიშნული პროცესი გადასახადის გადამხდელს მნიშვნელოვნად ეხმარება, სათანადოდ და სრულყოფილად შეასრულოს კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებები. ამასთან, 2022

წლის განმავლობაში დაიხვეწა და განვითარდა კანონმდებლობის შემდეგი პროგრამები: რეგისტრაციის ბაზის სისრულის, მონაცემთა ხარისხის კონტროლის, დაქირავებულ პირთა რეესტრის, მარაგების მართვის, დეკლარაციის ჭრილში წარმოდგენილი ინფორმაციის ვალიდაციის, დასაბეგრი საგადასახადო დოკუმენტების მართვის და დეკლარაციის სისწორის კონტროლის პროგრამები.

საქართველოს აქვს მნიშვნელოვანი ტრანზიტული ქვეყნის სტატუსი. შემოსავლების სამსახური მუშაობს, როგორც საბაჟოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების, ასევე, საბაჟო კონტროლის ანალიტიკური შესაძლებლობების დახვეწის მიმართულებით. 2022 წელს განხორციელდა საბაჟო რისკების მართვის სისტემის მოდერნიზაცია, დაიწყო საბაჟო პროცესების ავტომატიზაცია ხელოვნური ინტელექტისა და რობოტიზაციის ტექნოლოგიის გამოყენებით. მნიშვნელოვანია, რომ საბაჟო სისტემების ციფრული ტექნოლოგიებით სრულყოფის პროცესში შეიქმნა პირველი რობოტი მებაჟე ოფიცერი. საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობისა და ექსპორტის წახალისების მიზნით, საქართველოს საბაჟოზე დაინერგა გამარტივებული სასაზღვრო და გაფორმების პროცედურები.

მსოფლიოში თუ რეგიონში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკური ცვლილებები მყისიერად აისახება შემოსავლების სამსახურის, განსაკუთრებით, საბაჟოს საქმიანობაზე. უკრაინის ტერიტორიაზე აგრესიის დაწყებისთანავე, საქართველომ აიღო ვალდებულება, ჯეროვნად განახორციელოს ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორების მიერ, რუსეთის ფედერაციასა და ბელარუსის რესპუბლიკაზე დაწესებული სანქციების მონიტორინგი. სანქციების ადმინისტრირებამ მნიშვნელოვნად შეცვალა საბაჟო მიმართულებით არსებული პროცედურები.

ევროკავშირთან ინტეგრაციული პროცესების მხარდაჭერის მიზნით, შემოსავლების სამსახურმა 2022 წელს მონაწილეობა მიიღო ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად შემუშავებული სტრატეგიების სამოქმედო გეგმების განხორციელებაში, ასევე, სხვადასხვა უწყებათაშორის სემინარებსა და ბიზნესის წარმომადგენლებთან შეხვედრებში. აქტიურად გრძელდება თანამშრომლობა ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ექსპორტის კონტროლისა და საზღვრის უსაფრთხოების - EXBS პროგრამის ფარგლებში, რამდენიმე მიმართულებით. მათ შორის, უმნიშვნელოვანესია საბაჟოს საინფორმაციო სისტემების მოდერნიზაციის პროექტი. კორეის საბაჟო ადმინისტრაციასთან კოორდინაციით, შეიქმნა საბაჟო სისტემის დამოუკიდებელი შეფასების დოკუმენტი, რაც შემოსავლების სამსახურს საშუალებას მისცემს, ობიექტურად შეაფასოს შემდგომი პროგრესი.

ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, შემოსავლების სამსახურში 2022 წელს განხორციელებულ ღონისძიებებს შორის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორგანიზაციის უწყებრივი რისკების თანამედროვე, ქმედითი მართვის სისტემის დანერგვის პროცესი, რა მიზნითაც შეიქმნა ორგანიზაციული რისკების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი და შემუშავდა რამდენიმე სტრუქტურული ერთეულის რისკების რეესტრი.

წინამდებარე ანგარიში მოიცავს შემოსავლების სამსახურის მიერ საშუალოვადიანი სტრატეგიის ფარგლებში დაგეგმილი და 2022 წლის განმავლობაში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას.



შემოსავლის
სამსახური

სამსახურის მისია, ხედვა და ღირებულებები

მისია

საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა ნებაყოფლობითი კანონშესაბამისობის ხელშეწყობით და სამართალდარღვევებზე შესაბამისი რეაგირების ღონისძიებების განხორციელებით.



ხედვა

მომხმარებელზე ორიენტირებული სერვისების მიწოდებით და კანონშესაბამისობის მართვის თანამედროვე მიდგომების გამოყენებით, ვქმნით მაქსიმალურად ხელსაყრელ გარემოს ნებაყოფლობითი კანონშესაბამისობის ასამაღლებლად.



ღირებულებები

● ანგარიშვალდებულება

დაინტერესებულ პირთა ჩართულობის და ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფა.

● პროფესიონალიზმი

კანონით დაკისრებული ვალდებულებების მაღალი პროფესიული სტანდარტების შესაბამისად შესრულება.

● კეთილსინდისიერება


თითოეული თანამშრომლის ქმედება ემყარება პატიოსნების, სამართლიანობის და ანგარიშვალდებულების პრინციპს.

● ინოვაციურობა

მოწინავე ტექნოლოგიების გამოყენებით თანამედროვე და ეფექტიანი მიდგომების დანერგვა



შემოსავლების სამსახურის მიერ შემუშავებულია 2021-2024 წლების სტრატეგია, რომელიც არის სამსახურის მისიის და ხედვის განსახორციელებლად დასახული მიზნების და ამოცანების ერთობლიობა, რომელთა შესრულება გააუმჯობესებს და უფრო ეფექტიანს გახდის საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრირების პროცესს. სტრატეგიის მიხედვით, არსებული გარემო ფაქტორების და გამოწვევების გათვალისწინებით, სამსახურის მიერ განსაზღვრულია სამი სტრატეგიული მიზანი:



აღნიშნული სტრატეგიული მიზნების მისაღწევად განსაზღვრულია ამოცანები და შესაბამისი აქტივობები, რომელთა განახლება და დამტკიცება ხორციელდება ყოველწლიურად. 2022 წლის სამოქმედო გეგმა და განხორციელებული ღონისძიებები ძირითადად მიმართული იყო ზემოაღნიშნული სტრატეგიული მიზნების მისაღწევად. ამასთან, წლის განმავლობაში განხორციელებული აქტივობების დაფინანსების წყარო იყო, როგორც სამსახურის ბიუჯეტი, ასევე, სხვადასხვა დონორი ორგანიზაციები.

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია 2022 წლის საგადასახადო შემოსავლების ძირითადი მაჩვენებლები, სტრატეგიული მიზნების და ამოცანების მისაღწევად შემოსავლების სამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობის შედეგები, საგადასახადო და საბაჟო სერვისების სრულყოფისა და განვითარების უზრუნველსაყოფად განეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია, მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებებისა და სამსახურის სოციალური აქტივობების, ასევე, 2022 წელს განხორციელებული სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია და წლის შემაჯამებელი სტატისტიკური მონაცემები.

შემოსავლების სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურა


შემოსავლების სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურის მიხედვით, შემოსავლების სამსახური იყოფა სათავო და საოპერაციო დეპარტამენტებად. ამასთან, სამსახურში ფუნქციონირებს სამსახურის უფროსის სათაბირო ორგანო - რისკების მართვის საბჭო, რომელიც განსაზღვრავს პრიორიტეტულ სფეროებს/მიმართულებებს, რომლებიც მჭიდრო კავშირშია შემოსავლების სამსახურის სტრატეგიულ ამოცანებთან და რომლებზეც უნდა განხორციელდეს საგადასახადო და საბაჟო რისკების მართვა. ასევე, შეიმუშავებს რეკომენდაციებს, წინადადებებს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის, სამსახურის სტრატეგიის განსაზღვრის და ამ მიზნით შემუშავებული მიზნობრივი პარამეტრების და სამოქმედო გეგმების თაობაზე, სამსახურში მიმდინარე ან/და განსახორციელებელი პროექტების მართვის პროცესებზე და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

გრაფიკი: შემოსავლების სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

უმაღლესი მენეჯმენტი	სამსახურის უფროსი			რისკების მართვის საბჭო	
	სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე	სამსახურის უფროსის მოადგილე	სამსახურის უფროსის მოადგილე	სამსახურის უფროსის მოადგილე	
სათავო ოფისი	ანალიტიკური დეპარტამენტი	საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტი	მეთოდოლოგიის დეპარტამენტი	ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტი	
	ფინანსური დეპარტამენტი	სამსახურებრივი მონიტორინგის დეპარტამენტი	დავების დეპარტამენტი	იურიდიული დეპარტამენტი	
	საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის დეპარტამენტი	საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი	შიდა აუდიტის დეპარტამენტი		
საოპერაციო დეპარტამენტები	აუდიტის დეპარტამენტი	მომსახურების დეპარტამენტი	საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტი	საბაჟო დეპარტამენტი	ვალის მართვის დეპარტამენტი


საგადასახადო შემოსავლების ძირითადი მაჩვენებლები

2022 წლის განმავლობაში საქართველოს ნაერთ ბიუჯეტში გადასახადების სახით მიღებულმა შემოსულობებმა შეადგინა 17 385 944 341 ლარი, რაც მნიშვნელოვნად აჭარბებს წლის დასაწყისში არსებულ პროგნოზირებულ მაჩვენებელს. ასევე, დადებითი დინამიკით ხასიათდება გადასახადების სახით ბიუჯეტში მობილიზებული თანხები გასული წლების ჭრილში.




2022 წელს მიღებული საგადასახადო შემოსავლების 55% არაპირდაპირი გადასახადების, კერძოდ: დამატებული ღირებულების გადასახადის, აქციზის გადასახადის და იმპორტის გადასახადის სახითაა მიღებული. პირდაპირი გადასახადებიდან ყველაზე დიდი წილი მოდის საშემოსავლო გადასახადზე და შეადგენს 29%-ს. ადგილობრივ გადასახადს მიეკუთვნება ქონების გადასახადი, რომელიც იკავებს მთლიანი საგადასახადო შემოსავლების 3% წილს.

2022 წლის საგადასახადო შემოსავლები გადასახადის სახეების მიხედვით




საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის გადასახადების სახით მიღებული შემოსულობები შედგება, როგორც ტერიტორიაზე მიწოდებულ საქონელთან/გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული გადასახადებისგან, ასევე, გადასახადებისგან იმპორტირებული პროდუქციიდან. 2022 წლის საგადასახადო შემოსავლებში 41%-იანი წილი უკავია იმპორტზე გადახდილ გადასახდელებს (დღგ, აქციზი და იმპორტის გადასახადი).

საბაჟო შემოსავლების დინამიკა



განვლილი წლების განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსული გადასახადების მოცულობის ზრდასთან ერთად გაზრდილია ბიუჯეტიდან ზედმეტად გადახდილი გადასახადების დაბრუნების მაჩვენებელი, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ზედმეტად გადახდილი დღგ-ის ავტომატურად უკან დაბრუნების პროგრამის განვითარებამ. ავტომატურად უკან დაბრუნების სისტემის ჩამოყალიბებიდან 2022 წლის ბოლომდე, ბიზნესს 5 მილიარდ ლარზე მეტი დაუბრუნდა. 2022 წელს გადამხდელებს უკან დაუბრუნდათ 2 265 949 960 ლარი.



2022 წელს ზედმეტად გადახდილი გადასახადის უკან დაბრუნებით ისარგებლა 46 500-მა გადამხდელმა.

▶ სტრატეგიული მიზანი I

საგადასახადო და საბაჟო ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული კანონშესაბამისობის ამაღლება



საგადასახადო სერვისების განვითარება

შემოსავლების სამსახური კვლავ აგრძელებს მუშაობას ელექტრონული სერვისების მაქსიმალურად დისტანციურად გამოყენებისა და თვითმომსახურების ხელშეწყობის მიმართულებით. სერვისების დისტანციურად გამოყენების, თვითმომსახურების გამარტივების მიზნით:

- ▶ განახლდა 100-ზე მეტი განცხადების საინფორმაციო ველი.
- ▶ შემუშავდა 50 ელექტრონულ განცხადებაზე სერვისის მოხმარების სახელმძღვანელო და განთავსდა ელექტრონულ კატალოგში.
- ▶ შემუშავდა 3 ახალი ვიდეო ინსტრუქცია შემოსავლების სამსახურის ავტორიზებული გვერდიდან დისტანციურად განცხადების წარდგენასთან დაკავშირებით, სადაც დეტალურად არის განხილული ავტორიზებული მომხმარებლის გვერდიდან განცხადების წარდგენის ეტაპები.
- ▶ სამსახურის ვებ-გვერდზე განთავსდა 4 საინფორმაციო გზამკვლევი.



საბაჟო სერვისების განვითარება

2022 წელს განხორციელდა საბაჟო სერვისებთან დაკავშირებული სამართლებრივი, პროცედურული და ტექნოლოგიური ცვლილებები, რომლის ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს დეკლარანტების/მონაცემთა ავტომატიზებულ სისტემა „eCustoms“-ში დაშვების მქონე პირების მიერ რეგისტრირებული საბაჟო დეკლარაციით გაცხადებული საქონლის გაფორმებისათვის მომსახურების უპირატესი, განსხვავებული საფასურების შემოღება. ასევე, „eCustoms“-ში დაშვებული პირების მიერ, საქონლის საბაჟო დეკლარაციების შევსებისა და საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანამდე, საქონლის დეკლარირების წახალისება, რის ფარგლებშიც გაფართოვდა იმ პროცედურების ჩამონათვალი, რომელთა გამოყენებისას შესაძლებელია საქონლის წინასწარი, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანამდე დეკლარირება.

ელექტრონული დეკლარირების წახალისების მიზნით, ფუნქციონირება დაიწყო „ელექტრონული გაფორმების ეკონომიკური ზონა - „eGez“-მა, რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ავტორიზებული მომხმარებლის გვერდიდან წარდგენილი განცხადებისა და დოკუმენტების საფუძველზე საბაჟო დეკლარაციის/რეექსპორტის დეკლარაციის/დროებით შენახვის დეკლარაციის შევსება, სარეგისტრაციო და შეფასების ნომრის მინიჭება.

წინასწარი დეკლარირებისა და თვითმომსახურების წახალისების მიზნით, შეიცვალა საბაჟო პროცედურებში საქონლის გაფორმების მომსახურების საფასურები. განახლდა 65 საბაჟო სერვისის ტექნიკური მახასიათებლები. ამასთან, საბაჟო პროცედურაში საქონლის წინასწარი დეკლარირება მხოლოდ ელექტრონული ფორმით განხორციელდება.



უკუკავშირის სისტემის განვითარება

დაინტერესებულ პირთა საჭიროებაზე მორგებული სერვისების განვითარების პროცესში, მომხმარებელთა ჩართულობისა და მომსახურების ხარისხის კონტროლის მიზნით, 2022 წელს გაფართოვდა უკუკავშირის სისტემა და საკონსულტაციო არხებით განეული მომსახურების გარდა, უკუკავშირის მექანიზმი ამოქმედდა შემოსავლების სამსახურის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზეც, რაც, ამავდროულად, გულისხმობს საბაჟო დეპარტამენტის ელექტრონულ სერვისებზე უკუკავშირის უკუკავშირის სისტემის შემდგომი გაფართოება იგეგმება 2023 წელს აუდიტის დეპარტამენტსა და შემოსავლების სამსახურის გაფორმების ეკონომიკურ ზონებში, მათ შორის, ელექტრონული გაფორმების ეკონომიკური ზონაში (eGez).

2022 წელს, უკუკავშირის მექანიზმის საშუალებით, ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობდა მომსახურების ხარისხთან დაკავშირებით მომხმარებლების მოსაზრებების მიღება (ვებ- გვერდი, info@rs.ge, RS-ჩატი, საინფორმაციო-საკონსულტაციო და სერვის ცენტრები), რის საფუძველზეც დაიგეგმა და განხორციელდა შესაბამისი რეაგირების ღონისძიებები.



შემოსავლების სამსახურსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მქონე პირთა ურთიერთობა

საქართველოს მოქალაქეობის არმქონე და ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირთა საგადასახადო რეგისტრაციის და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში თანხის გადახდის პროცედურების გაუმჯობესების მიზნით, შემოსავლების სამსახურის ინიცირებით, 2022 წელს დაიწყო ერთიანი რეესტრის შექმნის პროექტი. დაიდენტიფიცირდა პირის რეგისტრაციისთვის აუცილებელი რეკვიზიტები, დამუშავდა შესაბამისი სამართლებრივი აქტები და უწყებებში არსებული პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, შემუშავდა რეგისტრაციის ახალი პროცედურის დოკუმენტი. საქართველოს ტერიტორიაზე ეკონომიკურ-სოციალურ პროცესებში ჩართული უცხო ქვეყნ(ებ)ის მოქალაქეობის მქონე პირთა და მათ მიერ სამართლებრივად უფლებამოსილი პირების მიერ, შესაბამისი აქტივობების აღრიცხვისა და ხსენებული პირების იდენტიფიცირების მიზნით, აღნიშნულ პროექტში აქტიურად ჩართულია სხვადასხვა სახელმწიფო უწყება.



საინფორმაციო და მეთოდოლოგიური ჰაბი – infohub.rs.ge


2022 წელს დასრულდა მუშაობა ერთიანი საგადასახადო/საბაჟო მეთოდოლოგიის ახალ პლატფორმაზე - infohub.rs.ge, რომელიც საპილოტე რეჟიმში ამუშავდა 2023 წლიდან.



infohub.rs.ge წარმოადგენს ელექტრონული ინფორმაციის მართვის ერთიან სისტემას, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ტიპის მონაცემს. აღსანიშნავია, რომ ახალი პროგრამული უზრუნველყოფის ამოქმედებით, ყველა მომხმარებლისთვის ინფორმაცია კიდევ უფრო ხელმისაწვდომი, ხოლო თავად ინფორმაციის მიღების პროცესი მნიშვნელოვნად გამარტივებულია.

Infohub-ზე განთავსებულია და მუდმივად განახლებადია, როგორც საგადასახადო, ასევე საბაჟო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია, მათ შორის: საკანონმდებლო აქტები, საერთაშორისო ხელშეკრულებები, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, მეთოდური მითითებები, ასევე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში არსებული საგადასახადო/საბაჟო დავის განმხილველი ორგანოების და სასამართლოს გადაწყვეტილებები და სხვა.

ელექტრონული საინფორმაციო ბაზა - Infohub ხელს შეუწყობს სისტემური და ერთგვაროვანი საგადასახადო პრაქტიკის არსებობას. ის შესაძლებლობას მისცემს დაინტერესებულ პირს მოიძიოს, დაამუშავოს და გააზიაროს მისთვის საინტერესო ინფორმაცია/დოკუმენტაცია. აღსანიშნავია, რომ Infohub-ის შექმნის პროექტი ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მხარდაჭერით, შემოსავლების სამსახურში 2021 წლიდან ხორციელდებოდა.



პოტენციური გადასახადის გადამხდელები

2022 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა პოტენციური გადასახადის გადამხდელების ელექტრონული საგანმანათლებლო პლატფორმის შექმნაზე მუშაობა. სამიზნე ჯგუფების იდენტიფიცირებისა და მათ საჭიროებებზე მორგების მიზნით შესწავლილ იქნა ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკა და პლატფორმების ფუნქციონალი. ასევე იგეგმება ვიდეო ინსტრუქციების თარგმნა სხვადასხვა ენებზე - სურდო ენა, ინგლისური, აზერბაიჯანული, სომხური, თურქული, რუსული.

შემოსავლების სამსახურსა და მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც, 9 პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულებისთვის ჩატარდა ტრენინგები საგადასახადო კანონმდებლობის თემებზე. პროგრამაში 100-ზე მეტი მსჯავრდებული მონაწილეობდა. პროგრამის ფარგლებში, შემოსავლების სამსახურის მიერ რუსთავის პენიტენციურ დაწესებულებაში 14 მსჯავრდებულს მიენიჭა მიკრო ბიზნესის სტატუსი, რაც მსჯავრდებულებს შესაძლებლობას აძლევს, მათ

მიერ ხელნაკეთი ნივთების რეალიზაციით (მაღაზია „რე-მარკეტში“) მიღებული შემოსავალი არ დაბეგრონ და ისარგებლონ კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმით. ამასთან, მიკრო ბიზნესის სტატუსით განსაზღვრული შეღავათებით, მსჯავრდებულები გათავისუფლების შემდეგაც ისარგებლებენ.



ქვევითი მიდგომების დანერგვა შემოსავლების მობილიზების გაუმჯობესებისათვის

შემოსავლების მობილიზების გაუმჯობესების მიზნით, შემოსავლების სამსახური ნერგავს ქვევით მიდგომებს. პროექტი გულისხმობს გადასახადის გადამხდელთა ქცევის შესწავლას და მათზე გარკვეული ღონისძიებებით (კომუნიკაცია, შეტყობინებები და სხვ.) ზემოქმედებას კანონშესაბამისობის დონის ასამაღლებლად. 2022 წელს აღნიშნული პროექტის ფარგლებში, მსოფლიო ბანკის ექსპერტებთან ერთად, შემუშავდა და დაიგეგმა შედარებით მცირე მასშტაბის „ექსპერიმენტი“, რაც გულისხმობს გადასახადის გადამხდელების მიერ, დეკლარაციის ჭრილში წარმოდგენილი ინფორმაციის ვალიდაციის პროგრამაში არსებული კომუნიკაციის სქემის/არხების, ინტენსივობის ან/და ტექსტის მოდიფიცირებას შემთხვევითობის პრინციპით შერჩეულ პოპულაციაზე და შემდგომში მისი ეფექტის შეფასებას. პროექტის მიმდინარეობის პროცესში, მონაწილე მხარეებს შორის კომუნიკაციის მიზნით, მსოფლიო ბანკის მიერ მომზადდა პლატფორმა, რომლის მეშვეობით სისტემატურ რეჟიმში ხორციელდება ყველა საჭირო ინფორმაციის გაცვლა.



კანონთან შესაბამისობის სფეროში არსებული საგადასახადო რისკების მართვის პროცესის გაძლიერება

გადამხდელთა საგადასახადო ვალდებულებების შესრულების მაჩვენებლების გაზრდის მიზნით, შემოსავლების სამსახურში მიმდინარეობს კანონშესაბამისობის წინაშე არსებული რისკის მართვის პროცესების გაძლიერება. შემუშავდა, დამტკიცდა და ხორციელდება 2022-2023 წლების განახლებული კანონშესაბამისობის გაუმჯობესების გეგმა, რომელიც ფარავს მაღალრისკიან სეგმენტებს.

თითოეული სეგმენტი მხარდაჭერილია შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩოთი, რისკზე რეაგირების გეგმით და რისკის შემცირების ღონისძიებებით. კანონშესაბამისობის გაუმჯობესების გეგმა ითვალისწინებს მსხვილი კატეგორიის გადამხდელთა კანონშესაბამისობის რისკის შემცირების ღონისძიებებსაც. საბაჟო რისკების მართვის სისტემის მოდერნიზაციის პროცესში კი, გაუმჯობესდა სერვერები და აპლიკაცია. საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, შემოსავლების სამსახურში დაინერგა ბიზნესპროცესი, რომელიც ეფუძნება დიფერენცირებული რეაგირების სტრატეგიების კონცეფციას, რისკის დიფერენციაციის ჩარჩოს (RDF) გამოყენებით. მსხვილ გადასახადის გადამხდელთა მიმართ დაინერგა სრულიად ახალი მიდგომები. ახალ მიდგომებთან შესაბამისობის მიზნით, გადამზადდნენ მსხვილ გადამხდელთა ოფისის თანამშრომლები.






კანონშესაბამისობის პროგრამები




ნებაყოფლობითი კანონშესაბამისობის ამაღლების მიმართულებით, შემოსავლების სამსახურში მოქმედებს კანონშესაბამისობის პროგრამები, რაც გულისხმობს, რისკზე დაფუძნებული მიდგომით იდენტიფიცირებულ, ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ, შესაძლო შეუსაბამობების შესახებ გადასახადის გადამხდელთა ადრეულ ეტაპზე ინფორმირებას, რაც მნიშვნელოვნად ეხმარება მათ სათანადოდ და სრულყოფილად შეასრულონ კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებები.

გემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად, 2022 წლის განმავლობაში დაიხვეწა და განვითარდა რეგისტრაციის ბაზის სისრულის, მონაცემთა ხარისხის კონტროლის, დაქირავებულ პირთა რეესტრის, მარაგების მართვის, დეკლარაციის ჭრილში წარმოდგენილი ინფორმაციის ვალიდაციის, დასაბეგრი საგადასახადო დოკუმენტების მართვის და დეკლარაციის სისწორის კონტროლის პროგრამები.

კანონშესაბამისობის პროგრამების ეფექტური მუშაობის შედეგად, ძირითადი საგადასახადო ვალდებულებების (რეგისტრაცია, დროული დეკლარირება, სისწორე და გადახდა) ჭრილში, 2022 წელს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა გადასახადის გადამხდელთა კანონმორჩილების დონე.

აღნიშნული პროგრამების ფარგლებში 2022 წელს განხორციელდა:





1 საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული საგადასახადო ადმინისტრაციის დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტის (TADAT) მიხედვით, დღგ-ის დაბრუნებაზე (ან გამოყენებაზე) დახარჯული დროის საუკეთესო სტანდარტი („A“ ქულა) შეესაბამება შემთხვევებს, როდესაც დღგ-ის დეკლარირებით წარმოქმნილი ზედმეტობის დაბრუნება ან არსებული დავალიანების დასაფარად გამოყენება ხორციელდება დეკლარირებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში წარმოდგენილი მოთხოვნების არანაკლებ 90%-ში. ასევე მხედველობაში მიიღება დღგ-ის ზედმეტობის დაბრუნებაზე უარის თქმის კანონმდებლობით დადგენილი ფაქტორები




ძირითად გადასახადებში დეკლარაციების სისწორის კონტროლის პროგრამა

ყოველთვიური მოგების და გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადების დეკლარაციის სისწორის კონტროლის პროგრამის ფარგლებში, განხორციელდა ძირითად გადასახადებში დეკლარაციების შეფასების პროგრამების რისკის კრიტერიუმების ინტეგრირება მონაცემთა საცავში.

2022 წელს დეკლარაციების სისწორის კონტროლის პროგრამის ფარგლებში, შესწავლილი იქნა გადასახადის გადამხდელების მიერ წარმოდგენილი გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის, ყოველთვიური მოგების და დღგ-ის 20 949 დეკლარაცია. დეკლარაციების სისწორის კონტროლის განხორციელების შედეგად, გადასახადის გადამხდელების მიერ ნებაყოფლობით დაბუსტებულმა გადასახადის თანხამ შეადგინა 94 749 061 ლარი.

2022 წელს შესწავლილი დეკლარაციების გადანაწილება გადასახადის სახეების მიხედვით




სავარაუდო დარიცხვის მექანიზმის გაფართოება

სავარაუდო დარიცხვა გულისხმობს შემოსავლების სამსახურის მიერ, კონკრეტული საგადასახადო პერიოდისთვის, გადასახადის აღრიცხვასა და ასახვას იმ გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ძირითად ბარათზე, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, შესაბამისი პერიოდის დეკლარაცია არ აქვს წარმოდგენილი.

სავარაუდო დარიცხვა 2022 წლის თებერვლის საანგარიშო პერიოდიდან, დღგ-ის გადასახადის დეკლარაციების გარდა, ხორციელდება დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული გადასახადის გადამხდელების (გარდა ფიზიკური პირების) მიერ წარუდგენელი მოგების გადასახადის ყოველ-

თვიური დეკლარაციის და გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციების მიმართ. შედეგად ამ ორი სახის გადასახადში სავარაუდო დარიცხვის შემდგომ დეკლარაციების წარუდგენლობა შემცირებულია მნიშვნელოვნად.



მსხვილი კატეგორიის გადასახადის გადამხდელთა ადმინისტრირება

2022 წელს დამტკიცდა მსხვილ გადასახადის გადამხდელთა ადმინისტრირების 2022-2024 წლების განახლებული სტრატეგია, რომლის მიზანია ცენტრალიზებული, სამართლიანი და გამჭვირვალე მიდგომებით, მსხვილი გადასახადის გადამხდელების საგადასახადო ადმინისტრირების პროცესის გაუმჯობესება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, დაიგეგმა შემდეგი ამოცანების განხორციელება:

- ▶ მსხვილ გადასახადის გადამხდელებზე მორგებული სერვისების განვითარება;
- ▶ კანონშესაბამისობასთან დაკავშირებული რისკების მართვის პროცესის გაძლიერება;
- ▶ ადამიანური რესურსის შესაძლებლობების გაუმჯობესება.

მსხვილ გადასახადის გადამხდელთა ადმინისტრირების ფარგლებში, განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- ▶ მსხვილი გადასახადის გადამხდელების საერთაშორისო კონტროლირებად ოპერაციებთან დაკავშირებული რისკების შემცირების ფარგლებში გაფორმდა ოპერაციების წინასწარი შეფასების პირველი შეთანხმება (APA).
- ▶ დაინერგა მსხვილ გადასახადის გადამხდელთა ძირითადი საგადასახადო მონაცემების მონიტორინგისათვის სტანდარტული ანგარიშგების სისტემა BI გარემოში, რომლის მეშვეობით ყოველდღიურ რეჟიმში ხორციელდება დაკვირვება სხვადასხვა სახის ინფორმაციაზე.
- ▶ შემუშავდა მსხვილ გადასახადის გადამხდელთა ასოცირებული საგადასახადო რისკების რეესტრის ფორმა.



- ▶ შემუშავდა იდენტიფიცირებული რისკების შეფასებისთვის უკუკავშირის მიზნით მონაცემთა გაცვლის ფორმა.

ამასთან, 2022 წლის განმავლობაში, აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა მსხვილ გადასახადის გადამხდელთა ოფისის დავალებების მართვის სისტემის დანერგვაზე.



საბაჟო მონაცემთა საინფორმაციო სისტემის მოდერნიზაცია

ამერიკის შეერთებული შტატების ექსპორტის კონტროლის და საზღვრის უსაფრთხოების პროგრამის (EXBS) მხარდაჭერითა და NU Borders-ის მონაწილეობით, შემოსავლების სამსახურში მიმდინარეობს საბაჟო საინფორმაციო სისტემების მოდერნიზაციის პროექტი, რომლის ფარგლებში შემოსავლების სამსახურის სამუშაო ჯგუფმა NU Borders-ის წარმომადგენლებს წარუდგინა ხედავადი სისტემის შესაძლებლობებთან დაკავშირებით, მიაწოდა დეტალური ინფორმაცია/დოკუმენტაცია ახალ სისტემაში შესავსებ ფორმებთან და საკვანძო ბიზნესპროცესებთან დაკავშირებით. 2022 წელს, დეკლარაციების შევსების პროცესის გამარტივების მიზნით, NU Borders-ის მიერ შემუშავდა საბაჟო დეკლარაციების მომხმარებლის ინტერფეისი, რომლის ტესტირება განხორციელდა შემოსავლების სამსახურის სამუშაო ჯგუფის მიერ.



საბაჟო რისკების მართვის და წინასწარი ინფორმაციის გაცვლის სისტემის განვითარება

სომხეთის რესპუბლიკასთან სატრანსპორტო საშუალებებისა და საქონლის საერთაშორისო გადაადგილების წინასწარი ელექტრონული მონაცემების გაცვლის სისტემა დანერგილია და რეალურ რეჟიმში ხორციელდება ელექტრონული ინფორმაციის წინასწარი გაცვლა ორი ქვეყნის ტერიტორიაზე გადაადგილებული სატრანსპორტო საშუალებებისა და ტვირთების შესახებ. წინასწარი ინფორმაციის გაცვლა ხელს უწყობს საბაჟო რისკების მართვის და საბაჟო კონტროლის პროცედურების ეფექტურად და ეფექტიანად განხორციელებას, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის განვითარებას.

ორმხრივი შეთანხმების ფარგლებში, საქართველო-თურქეთს შორის გადაადგილებულ საქონელზე, საბაჟო ღირებულების შესახებ ინფორმაციის გაცვლის სისტემის დანერგვასთან დაკავშირებით, შემუშავდა და თურქულ მხარესთან გაიგზავნა ინფორმაციის გაცვლის ტექნიკური დოკუმენტი. დაგეგმილია ხელმოწერის თარიღის ჩანიშვნა თურქული მხარის მიერ.

საქართველოს, აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის საბაჟო ინფორმაციის გაცვლის სისტემის დანერგვის ფარგლებში, განხილულ იქნა რკინიგზით გადაადგილებულ ტვირთებზე წინასწარი ინფორმაციის გაცვლის სამხრივი ტექნიკური დოკუმენტი და შენიშვნები/წინადადებები წარუდგინა თურქულ და აზერბაიჯანულ მხარეს. ტექნიკური დოკუმენტი ხელმოწერილია აზერბაიჯანული და ქართული მხარეების მიერ, გაგზავნილია თურქულ მხარესთან.



უზბეკეთის რესპუბლიკის და საქართველოს საბაჟო ადმინისტრაციებს შორის თანამშრომლობა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურსა და უზბეკეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საბაჟო კომიტეტს შორის, გაფორმდა ოქმი სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების წინასწარი მონაცემების გაცვლის ორგანიზების შესახებ. ამასთან, შემოსავლების სამსახურსა და უზბეკეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საბაჟო კომიტეტს შორის, ხელი მოეწერა „2023-2024 წლებში უზბეკეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საბაჟო კომიტეტსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს შორის ურთიერთთანამშრომლობის გეგმას“, რომელიც გულისხმობს საბაჟო ადმინისტრაციებს შორის გამოცდილების გაზიარებას სხვადასხვა მიმართულებებით.



eTIR სისტემის დანერგვა

2022 წლის თებერვალში, გაეროს მიერ დამტკიცდა eTIR პლატფორმის ახალი ვერსია, რომლის შესახებ ინფორმაცია მიენოდა TIR კონვენციის მონაწილე ყველა მხარეს. ამასთან, სამხრეთ ფორმატში შედგა რიგით მეორე შეხვედრა საქართველო-აზერბაიჯანი-თურქეთს შორის eTIR პლატფორმის დანერგვასთან დაკავშირებით.

შემოსავლების სამსახურში შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავდა: საერთაშორისო TIR მონაცემთა საცავში (ITDB – International TIR Data Bank) TIR მფლობელთა სტატუსების ელექტრონულად მართვის წესი, ბიზნეს ოპერატორის TIR პროცედურაზე დაშვების, სტატუსის შეჩერების, გაუქმების და კონტროლის პირობების თაობაზე განსახორციელებელი საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი და პირის TIR პროცედურაზე დასაშვებ/დაშვებულ პირთა შესახებ პროგრამული მოდულისთვის დავალების ტექნიკური დოკუმენტი.



ელექტრონული ლიცენზირების სისტემა STRATLINK

საბაჟო კანონდარდვების გამოვლენის, აღკვეთის და თავიდან აცილების მექანიზმების გაძლიერების მიზნით, 2022 წელს რეალურ რეჟიმში დაიწყო ფუნქციონირება სტრატეგიული დანიშნულების საქონლისთვის ელექტრონული ლიცენზირების თანამედროვე საინფორმაციო სისტემამ „STRATLINK“, რომლის საშუალებით, ბიზნეს ოპერატორს შესაძლებლობა აქვს, შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდზე ავტორიზაციის შემდგომ, შეავსოს განაცხადი ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ნებართვის მიღების მიზნით. ნებართვის გაცემისთვის მოთხოვნილი ინფორმაციის სრულად წარდგენის შემდეგ, საბაჟო დეპარტამენტის მიერ გაიცემა ნებართვა, რომელიც შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდის საშუალებით გაეგზავნება ნებართვის მაძიებელს.





ფარმაცევტული პროდუქტის საბაჟო დეკლარაციის ახალი ფორმის შემუშავება

ფარმაცევტული პროდუქტის საბაჟო დეკლარაციის ახალი ფორმის შემუშავება გულისხმობს ფარმაცევტული პროდუქტის აღნუსხვის ფორმისა და ფარმაცევტული პროდუქტის საბაჟო დეკლარაციის გაერთიანებას. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, ფარმაცევტული პროდუქტის აღნუსხვის ფორმაში დაშვებული მექანიკური შეცდომების აღმოფხვრის მიზნით, 2022 წელს ფარმაცევტული პროდუქტის აღნუსხვის ფორმას დაემატა სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოდან რეგისტრირებული ფარმაცევტული პროდუქტის შესახებ ინფორმაციის (აღწერილობითი ნაწილი) მიმდინარე რეჟიმში ელექტრონულად მიღების სერვისი. სერვისი ფუნქციონირებს სატესტო რეჟიმში.



რობოტი მებაჟე ოფიცარი

შემოსავლების სამსახურში მიმდინარეობს საბაჟო პროცესების ავტომატიზაციის პროცესი ხელოვნური ინტელექტის და რობოტიზაციის ტექნოლოგიის გამოყენებით. პროგრამას ექნება დეკლარაციის შევსებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი პროცესების ავტომატიზაციის შესაძლებლობა, მაგალითად: სხვადასხვა ენაზე შევსებული დოკუმენტების დამუშავება, დოკუმენტებში არსებული ინფორმაციის შედარება, თარგმნა, სასაქონლო კოდის მინიჭება, უკვე არსებულ ბაზებთან შედარება და ინტელექტუალური ანალიზი. რობოტის მიერ დამუშავებული ინფორმაციის საფუძველზე, განხორციელდება დეკლარაციის შევსება, დარეგისტრირება, ნებართვა/სერთიფიკატის საჭიროების გადამოწმება, შესაბამის მოდულში აღნიშნული დოკუმენტების მოძიება, სხვადასხვა მოდულებთან გადამოწმება/შედარება და ა.შ.

აღნიშნული ტექნოლოგიები უზრუნველყოფენ ისეთი პროცესების ავტომატიზაციას, რომლებიც ექვემდებარებიან წინასწარ განსაზღვრულ ლოგიკურ წესებს. სისტემა დაეხმარება მებაჟე ოფიცერს ეფექტურ მუშაობაში და მნიშვნელოვნად დაზოგავს ადამიანურ/დროით რესურსს.



საგადასახადო დავალიანების მართვის სისტემის გაუმჯობესება

დავალიანების მართვის რეფორმის ფარგლებში, 2022 წელს:


- ▶ დამტკიცდა საგადასახადო დავალიანების მართვის პროცედურული დოკუმენტები და განხორციელდა შესაბამისი სტრუქტურული ცვლილებები ვალის მართვის დეპარტამენტში;
- ▶ იძულებით ღონისძიებებში და პირადი აღრიცხვის ბარათის წარმოების წესში გადამზადდა ვალის მართვის დეპარტამენტის ყველა თანამშრომელი, ხოლო დავალებების მართვის სისტემის მოხმარებაში - 60-მდე თანამშრომელი;
- ▶ დავალებების ინიცირება და დავალიანების მქონე გადასახადის გადამხდელებთან კომუნიკაცია ხორციელდებოდა საპილოტე რეჟიმში;

2022 წელს დაგეგმილი ღონისძიებების შესრულების შედეგად, ივნისის თვიდან განხორციელდა საგადასახადო დავალიანების მართვის ახალ სისტემაზე გადასვლა და წლის ბოლომდე მიმდინარეობდა საპილოტე რეჟიმში.

2022 წელს მთლიანი საგადასახადო დავალიანება მნიშვნელოვნად შემცირებულია 2021 წელთან შედარებით, როგორც აღიარებული საგადასახადო დავალიანების, ასევე მთლიანი საგადასახადო დავალიანების ჭრილში. აღნიშნულს ხელი შეუწყო, როგორც საგადასახადო დავალიანების ამოღების მაჩვენებლების მნიშვნელოვანმა გაუმჯობესებამ, ასევე, 2022 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე ამოუღებელი დავალიანების ჩამოწერის პროცესმა.

გაუმჯობესდა საგადასახადო დავალიანების მაჩვენებლები. განვლილ წლებთან შედარებით, 2022 წლის განმავლობაში:

- ▶ მთლიანი საგადასახადო დავალიანება შემცირდა 10.1 %-ით;
- ▶ აღიარებული საგადასახადო დავალიანება შემცირდა 17.2 %-ით;
- ▶ აღიარებული 1 წელზე ხანდაზმული საგადასახადო დავალიანება შემცირდა 29.3 %-ით.



▶ სტრატეგიული მიზანი II


ორგანიზაციის ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება და მდგრადობა



ადამიანური რესურსების მართვის სფეროში თანამედროვე მიდგომების განხორციელება

- ✓ საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, შეიცვალა საბაჟო დეპარტამენტის სტატუსი და შესაბამისად საბაჟო დეპარტამენტში თანამშრომლების მიღების, სამსახურის გავლის, გათავისუფლების, სახელმწიფო სპეციალური წოდების მინიჭების და შრომის ანაზღაურების წესი.
- ✓ სამუშაო ძალის მიწოდებისა და მოთხოვნის გაანალიზების, პროგნოზირებისა და დაგეგმვის პროცესის გაუმჯობესების მიზნით, შემოსავლების სამსახურში განხორციელდა საოპერაციო დეპარტამენტების სამუშაო ძალის დაგეგმვა (WFP).

შემოსავლების სამსახურის თანამშრომლები 2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით გენდერულ და ასაკობრივ ჯგუფში



- ✔ შემუშავდა საბაზისო სასწავლო კურსი თემაზე „სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოება და ჯანმრთელობის დაცვა“. ონლაინ ტრენინგი გაიარეს საბაჟო და მომსახურების დეპარტამენტის თანამშრომლებმა.
- ✔ შიდა ტრენინგების შერჩევის პროცესის ფარგლებში, შეირჩა და ტრენინგთა ტრენინგი (TOT) გაიარა 14-მა თანამშრომელმა, მათგან 5 თანამშრომელი ჩაერთო საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლების მომზადების პროცესში.
- ✔ პროფესიული და პიროვნული უნარ-ჩვევების გაუმჯობესების მიზნით, სწავლება გაიარა 1500-მდე თანამშრომელმა.
- ✔ სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის საჭიროებიდან გამომდინარე, პოტენციური თანამშრომლების მომზადების მიზნით, სტაჟირების პროგრამის ფარგლებში შეირჩა და სტაჟიორად დაინიშნა 210 პირი.
- ✔ სტაჟირების პროგრამის შემდგომ, შესაბამისი პროცედურებით, შეირჩა 257 ახალი თანამშრომელი, მათ შორის, 85 წარმატებული სტაჟიორი მებაჟე ოფიცრად დაინიშნა.
- ✔ ღია და გამჭვირვალე კონკურსის საფუძველზე, საჯარო სამსახურის ბიუროს ადმინისტრირებული ვებ-გვერდის - www.hr.gov.ge - მეშვეობით, შეირჩა და ვაკანტურ პოზიციებზე დაინიშნა 170 თანამშრომელი.
- ✔ თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების სისტემის კვარტალური და წლიური შედეგების გათვალისწინებით, სხვა თანამდებობაზე/სტრუქტურულ ერთეულში გადაყვანილია/დანინაურებულია 880 თანამშრომელი.
- ✔ 2022 წელს განხორციელებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად, თანამშრომელთა მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის სახით გამოყენებული იქნა: 42 შენიშვნა, 12 გაფრთხილება, 57 ხელფასის პროცენტული დაკავება სამსახურში დასწრებასთან დაკავშირებული დარღვევების გამო, 6 სამსახურიდან გათავისუფლება და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ნაცვლად, 114 შემთხვევაში გამოყენებული იქნა სიტყვიერი გაფრთხილება.



საერთაშორისო დონის ღონისძიებების ფარგლებში თანამშრომლების შესაძლებლობების განვითარება

- ✔ „სარტყელი და გზის ინიციატივის“ (BRITACOM) წევრი ქვეყნების მიერ შექმნილი მექანიზმის ორგანიზებით, შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებისთვის გაიმართა ონლაინ ტრენინგები თემებზე: გადამხდელთა მომსახურება, რისკის მართვა და დღგ-ის რეფორმა.
- ✔ CEF-ის ორგანიზებით გაიმართა ონლაინ ტრენინგები საგადასახადო ვალის მართვის, აუდიტის რისკების მართვის, შემოსავლების მობილიზების ხარისხის მონაცემთა ანალიზისა და ციფრულ გარემოში საგადასახადო თაღლითობის საკითხებზე.
- ✔ საგადასახადო ადმინისტრაციის შიდა-ევროპული ორგანიზაციისა (IOTA) და OECD-ის მიერ 2022 წლის განმავლობაში შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებისთვის გაიმართა:





- სამუშაო შეხვედრები თემაზე: COVID-19 პანდემიის გავლენა საერთაშორისო დაბეგვრის, დისტანციურ მუშაობასა და საგადასახადო ვალდებულებებზე. ასევე, კრიპტო-აქტივებისა და ვირტუალური ვალუტის მიერ გამოწვეული კანონშესაბამისობის რისკების მართვასთან და გადასახადის გადამხდელთან ურთიერთობის გამართივების ხელშეწყობასთან დაკავშირებით;
- ფორუმები ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: საგადასახადო ადმინისტრაციის მიმართ ნდობის გაუმჯობესება, დღგ-ს თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლა, მონაცემების გამოყენება ინფორმაციის ავტომატური გაცვლის პროცესში და დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის სტანდარტის შესრულება;
- ვებინარები თემებზე: გადასახადის გადამხდელთათვის მომსახურების მიწოდება სოციალური მედიის საშუალებით, კორუფციული რისკების იდენტიფიცირება და მათი აღმოფხვრის შესაძლებლობები საგადასახადო ადმინისტრაციაში;
- სასწავლო სემინარები: ადამიანური რესურსების მართვა, საერთაშორისო გადახდისუნარიანობის პროცედურების პრაქტიკული გამოყენება, ტრანსფერული ფასწარმოქმნის (Transfer pricing) ფუნდამენტური კონცეფციები, საგადასახადო დანაკარგების შეფასება და გამოყენება - უახლესი მიღწევები, ელექტრონულ კომერციაში გამოყენებული მონიტორინგის უახლესი მეთოდები და საუკეთესო პრაქტიკა;
- კონფერენცია თემაზე „ჰიბრიდული საგადასახადო ადმინისტრაციის ჩამოყალიბება“;
- ✓ მსოფლიო ბანკის საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მხარდაჭერით, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგები ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის (AEO) სახელმძღვანელოს იმპლემენტაციის საკითხებზე. მსოფლიო ბანკის (WB) მხარდაჭერით, შემუშავდა AEO პროგრამის მეთოდოლოგიური დოკუმენტის პროექტი.

- ✓ ევროკავშირის TAIEX-ის პროგრამის მხარდაჭერით, საქართველოში ავტორიზებული ეკონომიკური პროგრამის შესაძლებლობების განვითარების მიზნით, გაიმართა სამუშაო შეხვედრა. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო საბაჟო დეპარტამენტის 13-მა თანამშრომელმა და ევროკავშირის ექსპერტებმა.
- ✓ ევროკავშირის - EU P2P ექსპორტის კონტროლის პროგრამის ფარგლებში, შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებისთვის, გაიმართა ორმაგი დანიშნულების საქონლის იდენტიფიცირების ტექნიკური ასპექტების შესახებ უწყებათაშორისი სწავლება.
- ✓ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსა და საქართველოში თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტოს (DTRA) მხარდაჭერით ჩატარდა საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის ოპერაციებისა და დაგეგმვის საკითხებზე უწყებათაშორისი სწავლება, რომელშიც შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა მიიღეს მონაწილეობა.
- ✓ აშშ-ს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ეროვნული საკოორდინაციო ცენტრის, ანტიკონტრაფაქციული ქსელის (REACT) მხარდაჭერით გაიმართა სწავლება, სასაქონლო ნიშნების კონტრაფაქციასა და საავტორო უფლებებთან დაკავშირებით. სწავლებაში მონაწილეობა მიიღეს საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა და განიხილეს პრაქტიკული ასპექტები და არსებული გამოწვევები.
- ✓ მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის (WCO) მხარდაჭერით გამართულ სასწავლო სემინარში სახელწოდებით - „სტრატეგიული ტვირთების კონტროლი“ შემოსავლების სამსახურის 30-მა მებაჟე ოფიცერმა მიიღო მონაწილეობა.
- ✓ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OSCE) ტრანსნაციონალური საფრთხეების დეპარტამენტის ორგანიზებით, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის, სამსახურებრივი მონიტორინგისა და საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტების, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციისა და გენერალური ინსპექციის წარმომადგენლების მონაწილეობით, გაიმართა უწყებათაშორისი სწავლება. სწავლებას ასევე ესწრებოდნენ რეგიონული ანტიკორუფციული (AC) პლატფორმის დასავლეთ ბალკანეთის,



უკრაინისა და მოლდოვას, სამართალდამცავი და სასაზღვრო უწყებების შიდა კონტროლის დეპარტამენტების წარმომადგენლები. რეგიონული ანტიკორუფციული პლატფორმა წარმოადგენს ფორუმს, რომლის მიზანია წევრ უწყებებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება, ასევე შიდა კონტროლის დეპარტამენტების საერთო შესაძლებლობების გაუმჯობესება და პრევენციის მიზნით, კორუფციასთან დაკავშირებულ გამოწვევებთან ეფექტიანად გამკლავება.

- ✓ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ექსპორტის კონტროლისა და საზღვრის უსაფრთხოების პროგრამის (EXBS) მხარდაჭერით, ვისკონსინის პროექტის ფარგლებში მორიგი უწყებათაშორისი სწავლება გაიმართა, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის, საპატრულო პოლიციისა და თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლების მონაწილეობით. საერთაშორისო ექსპერტის ჩართულობით გამართული პრაქტიკული და თეორიული სწავლება მონაწილეებს სანქციების აღსრულების პროცესში, საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებულ ლიცენზირებასა და მათი აღსრულების მონიტორინგში დაეხმარება. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ექსპორტის კონტროლისა და საზღვრის უსაფრთხოების პროგრამის (EXBS) მხარდაჭერით ასევე გაიმართა სწავლება თემაზე: კომერციულ სატრანსპორტო საშუალებებში უკანონო ტვირთის გამოვლენა და სკანერების გამოსახულების ამოცნობა.



მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (IOM) თანამშრომლობა

- ✓ ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „საქართველოში ინტეგრირებული საზღვრის მართვის მხარდაჭერა“ (SAFE) ფარგლებში, გაიმართა უწყებათაშორისი სემინარი, რომელიც ღია წყაროების ანალიზის უახლესი მეთოდების შესწავლასა და ქვეყნებს შორის წარმატებული გამოცდილების გაზიარებას მიეძღვნა.
- ✓ ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის - „ინტეგრირებული საზღვრის მართვა (SAFE IBM)“ ფარგლებში, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისთვის, გაიმართა უწყებათაშორისი სწავლება ყალბი დოკუმენტების აღმოჩენისა და შემოწმების შესახებ, რომლის მიზანია ყალბი საერთაშორისო სამგზავრო დოკუმენტების ამოცნობის მიმართულებით ცნობიერების ამაღლება
- ✓ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ (IOM) ევროკავშირის მხარდაჭერით, საბაჟო დეპარტამენტს 80 ერთეული რადიოგადამცემი და 60 სამკერდე კამერა გადასცა. აღნიშნული აღჭურვილობა ხელს შეუწყობს მეზაჟე-ოფიცრების მიერ, საზღვარზე ეფექტიანი კონტროლის განხორციელებას და შეუფერხებელ კომუნიკაციას.



ორგანიზაციის უწყებრივი რისკების მართვის სისტემის დანერგვა

- ✓ 2022 წელს შემოსავლების სამსახურში დაიწყო ორგანიზაციის უწყებრივი რისკების მართვის სისტემის დანერგვა, შეიქმნა ორგანიზაციული რისკების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი და შემუშავდა 2 სტრუქტურული ერთეულის რისკების რეესტრი. სამსახური გეგმავს მომავალში ეტაპობრივად დაამკვიდროს სათანადოდ ინფორმირებული და რისკით შეწონილი გადაწყვე-

ტილების მიღების პრინციპები, ხოლო რისკის მართვა აქციოს მენეჯერული ანგარიშვალდებულების განუყოფელ ნაწილად.



ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემის თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა

- ✓ სამსახურის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის ღონისძიებების სრულად განხორციელების შედეგად, შემოსავლების სამსახურის ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა სრულ შესაბამისობაშია „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის ძირითად მოთხოვნებთან.
- ✓ ამასთან, ინფორმაციული უსაფრთხოების ISO სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიმართულებით, პროცესების ნაწილი დანერგილია და გადატანილია ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემაში, ხოლო ნაწილ პროცესებზე მიმდინარეობს აქტიური სამუშაოები.
- ✓ ინფორმაციული უსაფრთხოების გაძლიერების მიმართულებით, შემოსავლების სამსახური აქტიურად იყო ჩართული როგორც უწყების შიგნით შესაბამისი ღონისძიებების გატარებაში, ასევე, სხვა უწყებებთან კოორდინაციაში. ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებისთვის ჩატარდა ყოველწლიური სავალდებულო სასწავლო კურსი.



პროექტების მართვის სისტემის გაძლიერება

- ✓ 2022 წელს სამსახურში დამტკიცდა პროექტების მართვის სახელმძღვანელო, რომლითაც სრულად იცვლება მიდგომები და დაიწყო ახალი ერთიანი პროექტების მართვის მეთოდოლოგიის დანერგვა. სახელმძღვანელოს შესაბამისად, იცვლება პროექტების სასიცოცხლო ციკლის მართვის პროცესი. დაიდენტიფიცირდა პროგრამები და პორტფელები, სადაც თემატურად ერთიანდება შესაბამისი პროექტები. განისაზღვრა პროექტების მართვის პროცესში ჩართული პირების როლები და პასუხისმგებლობები.
- ✓ სახელმძღვანელოს მიზანია სამსახურში პროექტების განხორციელების პროცესი გახდეს სისტემატიზებული და თანმიმდევრული, ამასთან, მხარდაჭერა გაეწიოს პროექტის მენეჯერს პროექტის მთლიანი სასიცოცხლო ციკლის მართვის პროცესში. სახელმძღვანელო მოიცავს პროექტების მართვის გლობალურად აღიარებული საუკეთესო პრაქტიკის კომპონენტებს და ეხმარება პროექტის მენეჯერს და სამუშაო ჯგუფს პროექტის ეფექტურად/ეფექტიანად დაგეგმვასა და განხორციელებაში.
- ✓ პროექტების მართვის სახელმძღვანელოს შედგენისას გამოყენებული იქნა ევროკომისიის პროექტების მართვის ცენტრის მიერ შემუშავებული პროექტის მართვის მეთოდოლოგია (PM² Project Management Methodology), პროექტების მართვის ინსტიტუტის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო (PMBOK Guide) და გაერთიანებული სამეფოს სტანდარტად შემუშავებული საინფორმაციო სისტემების პროექტების მართვის PRINCE2 (პროექტები კონტროლირებად გარემოში) მეთოდოლოგია.



▶ სტრატეგიული მიზანი III

საერთაშორისო თანამშრომლობა



საქართველო IOTA-ს პრეზიდენტი ქვეყანა

2022 წელს, 26-ე გენერალური ასამბლეის გადამწყვეტილებით, საქართველო პირველად გახდა საგადასახადო ადმინისტრაციების შიდა-ევროპული ორგანიზაციის (IOTA) პრეზიდენტი ქვეყანა ერთი წლის ვადით. აღსანიშნავია, რომ IOTA 1996 წელს დაარსდა და აერთიანებს ევროპის რეგიონის 44 ქვეყნის ადმინისტრაციას.

შემოსავლების სამსახურის IOTA-ს პრეზიდენტად არჩევა, საქართველოს შესაძლებლობას მისცემს მკაფიოდ წარმოაჩინოს, როგორც საკუთარი, ასევე რეგიონის სხვადასხვა ქვეყნის საგადასახადო ადმინისტრაციების დღის წესრიგით გათვალისწინებული პრიორიტეტული საკითხები. ამასთან, საქართველო, როგორც პრეზიდენტი ქვეყანა 2023 წელს, ქალაქ თბილისში, უმასპინძლებს გენერალურ ასამბლეას და შიდა-ევროპული ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების საგადასახადო ადმინისტრაციების ხელმძღვანელებს.



ევროკავშირთან ინტეგრაციული პროცესების მხარდაჭერა



ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის (NCTS) დანერგვა

ევროკავშირთან ინტეგრაციული პროცესების მხარდაჭერის მიმართულებით, შემოსავლების სამსახურის სამუშაო ჯგუფის მიერ, საერთო სატრანზიტო პროცედურების შესახებ (CTC) კონვენციაში განხორციელებული ბოლო ცვლილებების შესაბამისად, განახლდა ევროკავშირისა და საქართველოს საბაჟო კანონმდებლობების შედარებითი ანალიზის დოკუმენტი.

„ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის“ (NCTS) დანერგვის პროექტის ფარგლებში, განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- ▶ გაეროს კონფერენცია ვაჭრობისა და განვითარების შესახებ (UNCTAD) წარმომადგენლის მიერ მიმდინარეობდა სამუშაოები ეროვნული ტრანზიტის აპლიკაციის შექმნის მიმართულებით. წარდგენილ იქნა პრეზენტაციები აპლიკაციის ფუნქციონალის და პროგრამის

ფუნქციონირების თაობაზე, გაიმართა რამდენიმე სამუშაო შეხვედრა მებაჟე-ოფიცრებთან და ბიზნეს ოპერატორებთან, NCTS აპლიკაციის და საერთო ტრანზიტის პროცედურების გაცნობის მიზნით.

- ▶ UNCTAD-ის ექსპერტების მიერ მომზადდა სახელმძღვანელოები NCTS-ის სხვადასხვა კომპონენტზე, როგორებიცაა: ტრანზიტის დეკლარაცია, ავტორიზაციები, გარანტიები და სისტემის ზოგადი ფუნქციონალი.
- ▶ შემოსავლების სამსახურის სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელდა აპლიკაციის სხვადასხვა კომპონენტების ტესტირება და შესაბამისი შენიშვნების/წინადადებების წარდგენა UNCTAD წარმომადგენლისთვის.



ევროკავშირის საგადასახადო და საბაჟო პროგრამებში საქართველოს გაწევრიანება

ევროკავშირსა და საქართველოს შორის საგადასახადო და საბაჟო სფეროში თანამშრომლობის ფარგლებში, ხელი მოეწერა ევროკავშირის საგადასახადო და საბაჟო პროგრამებში საქართველოს მონაწილეობის შესახებ შეთანხმებებს. განხორციელდა პროგრამების დროებითი გამოყენების რეჟიმით ამოქმედება, რის შემდეგაც, საქართველოს უკვე ექნება პროგრამებით გათვალისწინებულ აქტივობებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა. ამასთან, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დასრულდა შეთანხმებების რატიფიცირების პროცესი. დაწყებულია პროგრამებში მონაწილეობით გათვალისწინებული გრანტის მიღების პროცედურა, რისთვისაც საჭიროა შესაბამისი საგრანტო შეთანხმების გაფორმება.

საგადასახადო პროგრამის მიზანია წევრი სახელმწიფოებისა და კეთილსინდისიერი გადასახადის გადამხდელის ფინანსური ინტერესების დაცვა. პროგრამის ფარგლებში, საგადასახადო ადმინისტრაციებს შორის განხორციელდება საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება და ევროკავშირის საგადასახადო კანონმდებლობის ეროვნულ დონეზე დანერგვა. აგრეთვე, შეიქმნება ევროპის ქვეყნების ეროვნული წარმომადგენლებით დაკომპლექტებული თანამშრომლობის ქსელი.

საბაჟო პროგრამაში ჩართულობა ხელს შეუწყობს საერთაშორისო ვაჭრობის პროცედურების გამარტივებას და თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ახალი და ეფექტური სერვისების შემუშავებას. თავის მხრივ, პროგრამა წაახალისებს რეგიონის სატრანზიტო და სავაჭრო პოტენციალის განვითარებას, საქართველოს მიმზიდველობასა და ახალი საინვესტიციო შესაძლებლობების შექმნას.

პროგრამებში მონაწილეობა საშუალებას იძლევა, მოხდეს ისეთი აქტივობების დაფინანსება, როგორებიცაა:

- ▶ საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება, კერძოდ, ევროკავშირის საინფორმაციო სისტემების ახალი კომპონენტების შექმნა, არსებული სისტემების განვითარება, ოპერირების უზრუნველყოფა, ექსპლუატაცია და ხარისხის კონტროლი;



- ▶ საგადასახადო უწყებების წარმომადგენლებს შორის თანამშრომლობის გაუმჯობესება (სემინარები, სამუშაო შეხვედრები, ექსპერტთა ჯგუფები, ევროკომისიისა და პროგრამის მონაწილე ქვეყნების წარმომადგენელთა ერთობლივი მისიები და სხვა);
- ▶ ადამიანური რესურსების განვითარება ტრენინგებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების გზით.



ფინანსური ინფორმაციის ავტომატური გაცვლის სტანდარტის პროექტი


გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) დაფინანსებით და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) გამჭვირვალობისა და საგადასახადო მიზნებისათვის ინფორმაციის გაცვლის გლობალური ფორუმის ხელშეწყობით, გრძელდება ფინანსური ინფორმაციის ავტომატური გაცვლის საპილოტე პროექტი. 2022 წელს ხელი მოეწერა Common Transmission System-ის (CTS) სამომხმარებლო შეთანხმებას (ე.წ. user agreement), რის საფუძველზეც CTS-ის სამდივნო აზიარებს ტექნიკურ მახასიათებლებს, რაც აუცილებელია ტექნიკური დოკუმენტაციის შემუშავებისთვის და შემდგომში ფინანსური ინფორმაციის ავტომატური გაცვლისთვის. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებამ (GIZ) გამართა შეხვედრა ფინანსურ ინსტიტუტებთან და წარუდგინა მათ ინფორმაცია ანგარიშგების პლატფორმასთან დაკავშირებით.



ინფორმაციის გაცვლა საგადასახადო მიზნებისათვის

შემოსავლების სამსახური აქტიურად არის ჩართული ქვეყნის მიერ საგადასახადო საკითხებში ურთიერთდახმარების მიზნით აღებული საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების პროცესში.

საქართველო წარმოადგენს OECD-ისა და ევროპის საბჭოს მიერ ერთობლივად მიღებული 1988 წლის „საგადასახადო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ“ კონვენციის



წევრ ქვეყანას. აღნიშნული კონვენციის მე-5 მუხლის მიხედვით, საქართველოს ვალდებულია კონვენციის წევრ ქვეყნებთან გაცვალოს ის ინფორმაცია, რომელიც მიიჩნევა საჭიროდ შეთანხმების დებულებების შესასრულებლად ან შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ადმინისტრირების მიზნით, ამ კონვენციით გათვალისწინებულ გადასახადებთან მიმართებაში.

ამასთან, საქართველოს 57 ქვეყანასთან გაფორმებული აქვს ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ შეთანხმებები, რომლებიც აგრეთვე, ითვალისწინებს საგადასახადო საკითხებში ურთიერთდახმარებას და ინფორმაციის გაცვლას. ინფორმაციის გაცვლის ვალდებულება ასევე გამომდინარეობს საგადასახადო საკითხებში ინფორმაციის გაცვლის ორმხრივი შეთანხმებებიდან.

საგადასახადო მიზნებისთვის ინფორმაციის გაცვლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია მოთხოვნის საფუძველზე ინფორმაციის გაცვლა (EOIR). 2011 წლის 11 აპრილს ქვეყანა გახდა საგადასახადო მიზნებისთვის გამჭვირვალობისა და ინფორმაციის გაცვლის გლობალური ფორუმის წევრი, რაც უზრუნველყოფს ქვეყნებს შორის ინფორმაციის გაცვლას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

2022 წლის განმავლობაში შემოსავლების სამსახურმა საგადასახადო მიზნებისათვის ანდა ვალის ამოღებაში დახმარების მიზნით, საგადასახადო ინფორმაცია გაცვალა 28 ქვეყანასთან.



APA-ს პროგრამისადმი მიძღვნილი კონფერენცია

შემოსავლების სამსახურმა „საერთაშორისო კონტროლირებულ ოპერაციებთან დაკავშირებული წინასწარი შეთანხმების“ (APA) პროგრამისადმი მიძღვნილ კონფერენციას უმასპინძლა, რომლის ფარგლებში ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს შემოსავლების სამსახურსა და იტალიის საგადასახადო ადმინისტრაციას შორის, რამაც საფუძველი ჩაუყარა „საგადასახადო ინსპექტორები საზღვრებს გარეშე“ (TIWB) პროგრამის ეგიდით ინიცირებულ ახალ პროექტს.

აღნიშნული კონფერენცია მიზნად ისახავდა, APA-ს პროგრამის დანერგვის ფარგლებში, შემოსავლების სამსახურის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით, დაინტერესებული პირებისთვის ვრცელი ინფორმაციის მიწოდებას, აგრეთვე, გადასახადის გადამხდელებისთვის აღნიშნულ პროგრამაში ჩართვის უპირატესობების გაცნობას და მათთვის აქტუალურ საკითხებზე ამომწურავი პასუხების გაცემას.

„საერთაშორისო კონტროლირებულ ოპერაციებთან დაკავშირებული წინასწარი შეთანხმება“ (APA) წარმოადგენს საერთაშორისო ინსტრუმენტს, რომელიც შემუშავებულია საერთაშორისო კონტროლირებულ ოპერაციებთან დაკავშირებული დავების თავიდან ასაცილებლად. შეთანხმების მიზანია შეფასების მეთოდების და მიდგომების წინასწარ განსაზღვრა, რასაც საგადასახადო ორგანო გამოიყენებს დაბეგვრის პროცესში. ამასთან, შეთანხმება ხელს უწყობს საგადასახადო ორგანოს მიერ გამოყენებული დაბეგვრის მეთოდების მიმართ სანდოობის ამაღლებას.





„სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და სურსათის უვნებლობის სისტემის შემდგომი პროგრესის უზრუნველყოფა საქართველოში“

ევროკავშირის დაფინანსებით დაძმობილების პროექტის ფარგლებში, პროექტის მესამე კომპონენტის განხორციელების მიზნით, შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგები ესტონეთში. შედეგად, შეფასდა ვეტერინარული კონტროლის პროცედურები და შემუშავებულ იქნა შესაბამისი რეკომენდაციები. პროექტის ფარგლებში, თბილისსა და ბათუმში ჩატარდა თეორიული და პრაქტიკული სწავლება ვეტერინარული სასაზღვრო კონტროლის პროცედურების შესახებ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს სასაზღვრო ინსპექციის პუნქტების თანამშრომლებისთვის. პრაქტიკული სწავლება განხორციელდა წითელი ხიდის და სარფის (ადლიის) სასაზღვრო ინსპექციის პუნქტებში. სწავლებაში მონაწილეობა მიიღო შემოსავლების სამსახურის 30-მა თანამშრომელმა და სურსათის ეროვნული სააგენტოს 4-მა წარმომადგენელმა.



კორეისა და საქართველოს საბაჟო ადმინისტრაციებს შორის თანამშრომლობა

საბაჟო ადმინისტრაციის მოდერნიზაციის საკონსულტაციო პროექტი ითვალისწინებს, ბენეფიციარი ქვეყნის საბაჟო ადმინისტრაციაში არსებული მდგომარეობის შეფასებას და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადებას ქვეყნის ოპტიმალური საბაჟო მოდელის შექმნის მიზნით. კორეის საბაჟო ადმინისტრაციის მიერ, პროექტის განმახორციელებლად შერჩეულ იქნა „UNI-PASS საბაჟო საერთაშორისო სააგენტო“ (CUPIA - Customs Uni-Pass International Agency).

პროექტის ფარგლებში, შემოსავლების სამსახურს ეწვივნენ კორეელი ექსპერტები, რომლებსაც მიეწოდათ სრული ინფორმაცია შემოსავლების სამსახურის შესაბამისი დეპარტამენტების საქმიანობის შესახებ. შედეგად, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს გაეწია კონსულტაცია იდენტიფიცირებული ხარვეზების აღმოფხვრისა და საჭირო ცვლილებების შესახებ. საკონსულტაციო პროექტის საორიენტაციო ბიუჯეტი შეადგენდა 700 000 აშშ დოლარს და სრულად დაფინანსდა კორეის მთავრობის მიერ. პროექტი განხორციელდა 2022 წლის 4 აპრილიდან 2022 წლის ნოემბრის ჩათვლით პერიოდში.

პროექტის მიმდინარეობისას, ასევე განხორციელდა შემოსავლების სამსახურის დელეგაციის ვიზიტი კორეაში, ქ. სეულში. ვიზიტის ფარგლებში დელეგაციის წევრები ადგილზე გაეცნენ კორეის საბაჟო ადმინისტრაციის მუშაობის სპეციფიკას, საბაჟო რისკების მართვის, მგზავრთა შესახებ ინფორმაციის წინასწარი შეტყობინების სისტემების ფუნქციონირებას, ეწვივნენ ექსპრეს გზავნილების გაფორმების ცენტრს. შეხვედრები გაიმართა კორეის საბაჟო ადმინისტრაციის ხელმძღვანელ პირებთან და განხილული იქნა კორეისა და საქართველოს საბაჟო ადმინისტრაციებს შორის თანამშრომლობის საკითხები.



საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაწეული ტექნიკური დახმარება

საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტების მიერ 2022 წლის განმავლობაში შემოსავლების სამსახურისთვის გაწეული ტექნიკური დახმარება მოიცავდა 4 ძირითად მიმართულებას: კანონშე-საბამისობის რისკის მართვის შემდგომი განვითარება, მსხვილ გადახდელთა ოფისის ამოქმედება და ოპერირება, საგადასახადო აუდიტის რეფორმა და შემოსავლების სამსახურის ორგანიზაციული შესაძლებლობების შემდგომი გაძლიერება.

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობა (GIZ)

2022 წელს შუა აზიის ოფისის მიერ დაიგეგმა და განხორციელდა პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს და ლატვიის საბაჟოების საუკეთესო გამოცდილების გაზიარების მიზნით ვირტუალური ტურის განხორციელებას. პროექტის ფარგლებში შემუშავდა 7 თემატური ვიდეო (თი-თოეული ინგლისურ და რუსულ ენებზე), გამარტივებულ პროცედურებთან დაკავშირებით. ვიდეოების წარდგენა და შესაბამისი დისკუსია გაიმართა ქალაქ ალმათიში.



2022 წელს განხორციელებული სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები





შემოსავლების სამსახურსა და ბიზნესსექტორს შორის თანამშრომლობა



ინფორმაციის ელექტრონული მიმოცვლის სისტემა

შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლები საქართველოს სახელმწიფო საზღვრებზე საჰაერო ტრანსპორტით გადაადგილებული საქონლისა და ინფორმაციის გაცვლის ელექტრონული სისტემის დანერგვის მიმართულებით დაგეგმილი სიახლეების გაცნობის მიზნით, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებს შეხვდნენ. სამუშაო შეხვედრის ფარგლებში, მხარეებმა დეტალურად განიხილეს ინფორმაციის ელექტრონული მიმოცვლის სისტემის პირობები, რათა საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, გაცილებით სწრაფად და ეფექტურად მოხდეს საბაჟო ფორმალობების განხორციელება, ხოლო დაინტერესებულ პირებს მათთვის სასურველი ინფორმაციის მიღებაზე მიეცეთ მარტივი მიკვლევადობის შესაძლებლობა.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი - „ასოცირების შეთანხმების განხორციელების მხარდაჭერა საქართველოში (AA Facility)“

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ფარგლებში, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის – „ასოცირების შეთანხმების განხორციელების მხარდაჭერა საქართველოში (AA Facility)“ ორგანიზებითა და შემოსავლების სამსახურის მხარდაჭერით, ბიზნესის წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე, შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა მოწვეულ ექსპერტთან ერთად, ბიზნესის წარმომადგენლებს წარუდგინეს პრეზენტაციები ევროკავშირში უკვე დანერგილი, გამართივებული საბაჟო ფორმალობების შესახებ, რომელთა იმპლემენტაციაც უახლოეს მომავალში საქართველოშიც იგეგმება.

ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი (AEO)

ევროკავშირის შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმებით, საქართველომ აიღო სამართლებრივი ვალდებულება, ეტაპობრივად მოახდინოს საბაჟო პროცედურების ევროპულ რეგულაციებთან დაახლოება. ამასთან, აღნიშნული რეგულაციები ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორებისთვის



რატორის კონცეფციის იმპლემენტაციასაც გულისხმობს და ის საბაჟო სისტემასა და ბიზნესს შორის პარტნიორულ ურთიერთობას ეფუძნება. 2022 წელს შემოსავლების სამსახურმა საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს გადასცა ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის (AEO) სტატუსის დამადასტურებელი სერტიფიკატები. ახალი სტატუსი კომპანიებს ახალ გამარტივებულ საბაჟო შესაძლებლობებს სთავაზობს.

■ საბაჟო მომსახურების საფასურებში განხორციელებული ცვლილებები

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინიციატივით, მთავრობის დადგენილებაში განხორციელებული ცვლილების თანახმად, სხვა მიმართულებებთან ერთად, თვითმომსახურებისა და ელექტრონული სერვისების გამოყენების წახალისების მიზნით, მონაცემთა ავტომატიზებულ სისტემა - „eCustoms“-ში დაშვებული პირების მიერ საბაჟო დეკლარაციით გაცხადებული საქონლის გაფორმებისათვის, მომსახურების უპირატესი, განსხვავებული საფასურები დადგინდა.

შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლებმა საბაჟო მიმართულებით გასაწევი მომსახურების საფასურებში განხორციელებული ცვლილებების გაცნობის მიზნით, თბილისში, ბათუმსა და ფოთში ბიზნეს ოპერატორებთან სამუშაო შეხვედრები გამართეს. შეხვედრის ფარგლებში, შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლებმა ბიზნეს ოპერატორებს ცვლილებების შესახებ პრეზენტაცია წარუდგინეს და სხვა ცვლილებებთან ერთად, ის საბაჟო პროცედურები გააცნეს, რომელთა გამოყენებისას შესაძლებელი ხდება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანამდე საქონლის წინასწარი დეკლარირება.



საბაჟოს საერთაშორისო დღე



26 იანვარს, შემოსავლების სამსახურმა მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის 180-ზე მეტ წევრ საბაჟო ადმინისტრაციასთან ერთად, საბაჟოს საერთაშორისო დღე აღნიშნა. 2022 წელს, საბაჟო საერთაშორისო დღის საერთო სლოგანს წარმოადგენდა - „საბაჟოს სრული ციფრული ტრანსფორმაცია“. ღონისძიების ფარგლებში, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა და ფინანსთა მინისტრმა ხელი მოაწერეს ურთიერთგაგების მემორანდუმს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპა-

რტამენტსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შორის, შემოსავლების სამსახურის საინფორმაციო ტექნოლოგიური პლატფორმის მოდერნიზაციის მიზნით თანამშრომლობისა და მხარდაჭერის შესახებ. ღონისძიებაზე მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის მიერ დაწესებული ღირსების მონმობები გადაეცათ, როგორც საბაჟო დეპარტამენტის მებაჟე ოფიცრებს, ასევე პარტნიორი უწყებების, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისა და საქართველოს საბანკო ასოციაციის წარმომადგენლებს



საავტომობილო საბაჟო-გამშვები პუნქტების მშენებლობა-რეკონსტრუქცია



ვინაიდან საქართველოს აქვს მნიშვნელოვანი ტრანზიტული ქვეყნის სტატუსი, მუდმივად განიხილება სატრანზიტო პოტენციალის განვითარების პროექტები.

საქართველო-სომხეთის საზღვარზე, ახალი საავტომობილო საბაჟო-გამშვები პუნქტი - „ნინოწმინდა“ გაიხსნა. საერთაშორისო გადაზიდვების განმახორციელებელი სატვირთო ავტომობილების, მგზავრების და მსუბუქი სატრანსპორტო საშუალებებისთვის მოწყობილი კონტროლის თანამედროვე სისტემებით აღჭურვილი 11 გასასვლელი. გამშვებ პუნქტზე იმუშავებს დაახლოებით 70 მებაჟე ოფიცერი. დღე-ღამეში ორივე მიმართულება გათვლილია არანაკლებ 600-მდე სატვირთო, 3000-მდე მსუბუქი მანქანის და 8000-მდე მგზავრის გატარებაზე. ინფრასტრუქტურული სამუშაოების ფარგლებში, განახლდა დაახლოებით 4000 კვ.მ. ფართობი, მოწყობილი ახალი მიწისქვეშა კომუნიკაციები, სანიაღვრე ქსელი და აშენდა ავტომობილების დასათვალიერებელი ანგარი.

დასრულდა ამერბაიჯანის საზღვართან ლაგოდეხის გამშვები პუნქტის ახალი შენობა-ნაგებობის სამშენებლო სამუშაოები.

ქვეყანაში საბაჟო ინფრასტრუქტურის გაფართოებისა და განვითარების მიზნით იგეგმება საქართველო-ამერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარზე, ახალი, ერთობლივი საბაჟო გამშვები პუნქტის „აბრეშუმის გზა – იპეკ იოლუს“ მშენებლობა, რომლის კონცეფცია შექმნილია აზიის განვითარების ბანკის (ADB) ექსპერტის მიერ.





საკანონმდებლო და პროცედურული სიახლეები

ეფექტიანი საგადასახადო ადმინისტრირების მიზნით, შემუშავდა შემდეგი მეთოდური მითითებები:

- ▶ „სამეურნეო ოპერაციის კვალიფიკაციის ცვლილების შესახებ“ მეთოდური მითითების მიზანია, საგადასახადო შემონმებისას, გადასახადის გადამხდელის მიერ განხორციელებული სამეურნეო ოპერაციების კვალიფიკაციის ცვლილების შემთხვევაში, არგუმენტაციის მაღალი ხარისხისა და შესაბამისი საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრის უზრუნველსაყოფად, ერთიანი მეთოდოლოგიური მიდგომის ჩამოყალიბება. ამასთან, აღნიშნული დოკუმენტი, საგადასახადო ორგანოსთვის წარმოადგენს ერთმანეთთან საფეხურებრივად დაკავშირებულ პროცესუალურ-სამართლებრივ ჩარჩოს, რათა მხარეებისთვის სამეურნეო ოპერაციის კვალიფიკაციის შეცვლის არსი და მიზანი, აგრეთვე სხვა თანმდევი ადმინისტრაციული წარმოების მნიშვნელობა იყოს მკაფიო, არაორაზროვანი და განჭვრეტადი.
- ▶ „სავაჭრო ობიექტებში გამოვლენილი არასასურსათო საქონლის არაარსებითი დანაკარგების დანაკლისად განუხილველობის შესახებ“ - არასასურსათო საქონლის დანაკარგის ნორმად განისაზღვრა 0,5%. ამასთან, ნორმით სარგებლობა შეუძლია სავაჭრო ობიექტებს (მარკეტი, სუპერმარკეტი ან ჰიპერმარკეტი), სადაც არასასურსათო საქონლის საცალო რეალიზაცია ხორციელდება „ღია სანყობის“ პრინციპით. თავის მხრივ, ყველა ჩამოთვლილი პირობის დაცვით, ღია სანყობი არის სავაჭრო სივრცე:

- ა) სადაც იდენტიფიცირებულია მომხმარებელთა შესასვლელ-გასასვლელი;
- ბ) სადაც გასაყიდად განკუთვნილი არასასურსათო საქონელი განთავსებულია მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომ ადგილას - თაროებზე, დახლებსა და სხვა სათავსოებში;
- გ) სადაც მომხმარებელი დამოუკიდებლად ან/და მოლარე-კონსულტანტის დახმარებით ირჩევს სასურველ არასასურსათო საქონელს;
- დ) სადაც არასასურსათო საქონლის შეძენა-რეალიზაცია აღირიცხება შტრიხკოდებითა და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით და ამ აღრიცხვით, იდენტიფიცირებადია როგორც შეძენილი არასასურსათო საქონლის თვითღირებულება, ისე ამავე არასასურსათო საქონლის რეალიზაციიდან მიღებული თანხა.


- ▶ მსხვრევადი საქონლის ჩამოწერა - ექსპერტიზის ჩატარების გარეშე მსხვრევადი სამშენებლო-სარემონტო საქონლის (კაფელი, მეტლახი, მინა, კერამიკული მასალები და სხვა მსგავსი სამშენებლო-სარემონტო საქონელი) ჩამოწერის შესაძლებლობა აქვთ მსხვილი კატეგორიის გადამხდელებს თვეში 25 000 ლარის სააღრიცხვო ღირებულების ფარგლებში, ხოლო საშუალო კატეგორიის გადამხდელებს 3 000 ლარის ფარგლებში.

- „Good Faith“ დელეგირება - დამტკიცდა მეთოდური მითითება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლის მე-7 ნაწილის და საქართველოს საბაჟო კოდექსის 163-ე მუხლის მე-11 ნაწილის გამოყენების შესახებ, რომლითაც განისაზღვრა:

- ა) საქართველოს საბაჟო კოდექსის 165-ე მუხლით, 167-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებითა და 172-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სანქციებისაგან ამავე კოდექსის 163-ე მუხლის მე-11 ნაწილის საფუძველზე პირის გათავისუფლების ღონისძიებები;
- ბ) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 274-ე და 282-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე შეფარდებული ჯარიმისგან ამავე კოდექსის 269-ე მუხლის მე-7 ნაწილის საფუძველზე პირის გათავისუფლების ღონისძიებები;
- გ) საგადასახადო შემოწმების ფარგლებში გამოვლენილ ქონების გადასახადის დეკლარაციაში გადასახადის თანხის შემცირების ფაქტზე ფიზიკური პირისათვის შეფარდებული სანქციისაგან გათავისუფლების ღონისძიებები“;
- დ) საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული პოზიციის შესაბამისი ქმედებისათვის შეფარდებული სანქციისაგან გადასახადის გადამხდელის გათავისუფლების ღონისძიებები.

აღნიშნული ინიციატივის მიზანია საოპერაციო დეპარტამენტების დონეზე დელეგირდეს შესაბამისი სამართალდარღვევებისთვის შეფარდებულ სანქციათა პატიების უფლებამოსილება.

- ფინანსთა მინისტრის №257 ბრძანებაში განხორციელებული ცვლილების თანახმად, საქართველოდან საზღვაო გზით გასატანი, შესაბამისი წესით დეკლარირებული საქონლის საბაჟო საწყობიდან ნავსადგურში გადაზიდვის ვადა 12 საათიდან 24 საათამდე გაიზარდა, გადასაზიდვი ტვირთის აღრიცხვა ხორციელდება გამარტივებული წესით და არ საჭიროებს დალუქვას საბაჟო საწყობიდან ნავსადგურში ტრანსპორტირების პროცესში.



საგადასახადო და საბაჟო სერვისების სრულყოფისა და განვითარების უზრუნველსაყოფად განეული ხარჯები

ჯამურად, 2022 წელს, შემოსავლების სამსახურის ობიექტების სამშენებლო/სარემონტო სამუშაოებზე, სამსახურის სხვადასხვა ტექნიკის, მანქანა-დანადგარების და პროგრამული უზრუნველყოფის შესყიდვის, ასევე სამსახურის ავტოპარკის ნაწილობრივი განახლების მიზნით (არაფინანსური აქტივების ზრდა) დაიხარჯა დაახლოებით 17.1 მილიონი ლარი. მათ შორის:

- ▶ სარემონტო/სარეაბილიტაციო და კეთილმოწყობის სამუშაოები ჩატარდა შემდეგ ობიექტებზე: გაფორმების ეკონომიკური ზონა „თბილისი“ და „ბათუმი“, საბაჟო გამშვები პუნქტი „ნინოწმინდა“, „ნითელი ხიდი“, „სადახლო“, „სარფი“, „ყაზბეგი“ და „ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი“, დედოფლისწყაროს, ახალქალაქის, მცხეთის და ისანი-სამგორის მომსახურების ოფისებში.



- ▶ საბაჟო კონტროლის პროცედურების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით, საბაჟო გამშვები პუნქტები „ბათუმის აეროპორტი“ და „ქუთაისისა და სენაკის აეროპორტები და ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული და ქუთაისის ჰუალინგის თავისუფალი ინდუსტრიული ზონები“ დამატებით აღიჭურვა ბარგის რენტგენის სკანერებით, ხოლო გაფორმების ეკონომიკური ზონები - „თბილისი 2“ და „ბათუმი“ აღიჭურვა პალეტის რენტგენის სკანერებით. ასევე, საბაჟო გამშვები პუნქტები „ყაზბეგი“, „ნითელი ხიდი“, „სარფი“, „ლაგოდეხი“ და „კარნახი“ აღიჭურვა სატვირთო ავტომობილების ახალი სასწორებით;

- ▶ საბაჟო გამშვები პუნქტების და გაფორმების ეკონომიკური ზონების შეუფერხებელი ინტერნეტ კავშირის უზრუნველსაყოფად, შესყიდული იქნა 107 ერთეული როუტერი;
- ▶ საბაჟო გამშვები პუნქტების „სარფი“ და „კარნახი“, ასევე გაფორმების ეკონომიკური ზონა „თბილისის“ უწყვეტი ენერგომომარაგების მიზნით, აღნიშნული ობიექტების მნიშვნელობიდან გამომდინარე, შესყიდული იქნა დიზელ-გენერატორები;
- ▶ შემოსავლების სამსახურში არსებული მონაცემების მზარდი დინამიკიდან გამომდინარე, მომდევნო 3 წლის განმავლობაში, სისტემის შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად, არსებული ფიზიკური სერვერების დისკური მასივის გაფართოების მიზნით, განხორციელდა სერვერისთვის განკუთვნილი 24 ერთეული მეხსიერების მყარი დისკის შესყიდვა;
- ▶ შემოსავლების სამსახურის საინფორმაციო ტექნოლოგიების სტრატეგიის და 2020-2025 წლების საინვესტიციო გეგმის სტრატეგიული დოკუმენტის შესაბამისად, შესყიდულია 450 ერთეული კომპიუტერი, 250 ერთეული პრინტერი და 800 ერთეული უწყვეტი კვების წყარო.
- ▶ აუდიტის დეპარტამენტის ადმინისტრაციულ შენობაში დაიწყო სარემონტო / სარეაბილიტაციო სამუშაოები. პროექტის ფარგლებში განხორციელდება სამუშაო სივრცეების სრული განახლება, შენობა აღიჭურვება გათბობა-გაცივების ახალი სისტემით და ყველა საჭირო ინვენტარით / ტექნიკით.



სოციალური აქტივობა



უკრაინის სახელმწიფო საბაჟო სამსახურთან თანამშრომლობა

შემოსავლების სამსახურის მხარდაჭერითა და უკრაინის სახელმწიფო საბაჟო სამსახურის ჩართულობით, 2022 წლის 25 აგვისტოდან 3 სექტემბრის ჩათვლით, შემოსავლების სამსახურმა უკრაინის სახელმწიფო საბაჟო სამსახურის მეზაჟე ოფიცრების შვილებს უმასპინძლა. საქართველოში ყოფნის დროს, ბავშვებმა მოინახულეს ღირსშესანიშნავი ადგილები, ეწვივნენ მუზეუმებს და სხვადასხვა გასართობ ცენტრს, აგრეთვე, მონაწილეობა მიიღეს გასართობ აქტივობებში.



წიგნები საჩუქრად საჯარო სკოლას

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური აქტიურად არის ჩართული „პალიტრა L“-ის პროექტში, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია მაკულატურის სასურველ და საინტერესო წიგნებში გაცვლა. სამსახურის მიერ დაგროვებული ელექტრონული „წერგების“ ერთეულები ახალ წიგნებში აისახა და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის წარმომადგენლებთან ერთად, საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ სოფელ კოდაში არსებულ საჯარო სკოლის ბიბლიოთეკას გადაეცა შემეცნებითი, კლასგარეშე საკითხავი და მხატვრული ლიტერატურა საჩუქრად.



ყოველწლიური დასაქმების ფორუმი

შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ ინიცირებულ, ყოველწლიურ დასაქმებისა და კარიერული განვითარების ფორუმში. მათ სრულყოფილი ინფორმაცია მიაწოდეს სტუდენტებს უწყების საქმიანობის, სტაჟირებისა და პრაქტიკის პროგრამების, ასევე დასაქმებისა და კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. დასაქმების ფორუმი სხვადასხვა სპეციალობის მქონე სტუდენტებისთვის გაიმართა და მასში მონაწილეობა მიიღეს, როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორის წარმომადგენლებმა.




მედიასემინარები ჟურნალისტებისთვის

გადასახადის გადამხდელების ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, შემოსავლების სამსახურის პროექტის - „კომუნიკაცია მედიასთან“ ფარგლებში, ეკონომიკური პროფილის მქონე ჟურნალისტებისთვის მედიასემინარი გაიმართა. შემოსავლების სამსახურის სხვადასხვა დეპარტამენტის წარმომადგენლებმა სემინარის ფარგლებში, მედიის წარმომადგენლებს გააცნეს ინფორმაცია

2022 წელს შემოსავლების სამსახურში განხორციელებული რეფორმების და დაგეგმილი სიახლეების შესახებ. განხილულმა თემებმა მოიცვა დისტანციური სერვისები, სასაქონლო კოდების ახალი საძიებო სისტემა, ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი (AEO), ელექტრონული გაფორმების ეკონომიკური ზონა, საბაჟო პროცესების ავტომატიზაციის მიზნით, ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესაძლებლობა და სხვა. მედიის წარმომადგენლებმა „თბილისის“ გაფორმების ეკონომიკური ზონა დაათვალიერეს და საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურისთვის აუცილებელ საბაჟო ფორმალობებს ადგილზე გაეცნენ.



შემოსავლების სამსახურის აქტივობა საინფორმაციო საშუალებების მიხედვით




სტატისტიკური მონაცემები




მომსახურება

სხვადასხვა არხებით
განხორციელებული მომსახურების რაოდენობები




სამეწარმეო სტატუსის მინიჭება



ელექტრონული განცხადებები

ელექტრონულ განცხადებებში დისტანციურად სარგებლობის მაჩვენებელი




ელექტრონული განცხადებებით დისტანციურად სარგებლობის წილი

2021 წელი




2022 წელი




Tax Free დაბრუნებები

Tax Free დაბრუნებები



გაცემული აქციზური და არააქციზური მარკები


არაალკოჰოლურ სასმელებზე გაცემული
არააქციზური მარკების რაოდენობა




ალკოჰოლურ სასმელებზე გაცემული
აქციზური მარკების რაოდენობა
(ადგილობრივი და იმპორტი)



ლუდზე გაცემული აქციზური
მარკების რაოდენობა




თამბაქოზე გაცემული აქციზური
მარკების რაოდენობა



საბაჟო

გაფორმებული საქონლის საბაჟო დეკლარაციები


2022 წელს გაფორმდა 371 637 საქონლის საბაჟო დეკლარაცია, მათ შორის - 265 488 თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტი) პროცედურაში, ხოლო - 68 063 ექსპორტის პროცედურაში. აღსანიშნავია, რომ წინა წლის მაჩვენებლებთან შედარებით ჯამურად საქონლის საბაჟო დეკლარაციების რაოდენობა გაიზარდა 12%-ით, მათ შორის, თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში - 16%-ით



წინასწარ დაბეჭდილი დეკლარაციები


წინასწარ დაბეჭდილი საბაჟო დეკლარაციების რაოდენობა 2022 წელს, წინა წელთან შედარებით, გაზრდილია 27 %-ით.

თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში წინასწარ დაიბეჭდა დეკლარაციების 46 %, იგივე მაჩვენებელი 2021 წელს შეადგენდა - 42%.




საქონლის საბაჟო დეკლარაციებით გაფორმებული საქონლის ღირებულება

2022 წლის მდგომარეობით 55 842 331 313 ლარის ღირებულების საქონელი გაფორმდა, ხოლო 2021 წელს 48 086 084 831 ლარის ღირებულების.




დარიცხული იმპორტის გადასახდელი

2022 წელს დარიცხული იმპორტის გადასახდელების რაოდენობამ 7 243 685 695 ლარი შეადგინა.




საბაჟო სამღვარზე გადაადგილებული სატვირთო სატრანსპორტო საშუალებები

2022 წელს, საქართველოს საბაჟო სამღვარზე გადაადგილებული სატვირთო სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა წინა წელთან შედარებით 17 %-ით გაიზარდა.




საფოსტო გზავნილები

2022 წელს, საფოსტო გზავნილების რაოდენობა წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 29 %-ით გაიზარდა.




წინასწარი გადაწყვეტილებები

2022 წელს გაიცა 83 წინასწარი გადაწყვეტილება საქონლის მიმართ სასაქონლო კოდის განსაზღვრის შესახებ და 14 გადაწყვეტილება საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის შესახებ.




სასაქონლო ექსპერტიზები

2022 წელს 11 233 სასაქონლო ექსპერტიზა ჩატარდა, წლიური ზრდის მაჩვენებელმა შეადგინა 14%.





წარმოშობის სერტიფიკატები

2022 წელს 53 818 წარმოშობის სერტიფიკატია გაცემული.




ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ნებართვები






ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლი

2022 წელს ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლი განხორციელდა 15 352 სასაქონლო პარტიაზე



ფიტოსანიტარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლი

2022 წელს ფიტოსანიტარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლი განხორციელდა 22 785 სასაქონლო პარტიაზე.



სურსათის/ცხოველთა საკვების გენმოდიფიცირებული
კომპონენტების შემცველობის კვლევის მიზნით,
ლაბორატორიაში გადაგზავნილი ნიმუშების
რაოდენობა




სურსათის/ცხოველთა საკვების გენმოდიფიცირებული
კომპონენტების არსებობის დადასტურებული
შემთხვევების რაოდენობა




სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული სერტიფიკატები, მოწმობები და იმპორტის ნებართვები


ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული
პროდუქციის იმპორტის ნებართვა




ექსპორტის/რეექსპორტის ფიტოსანიტარიული
სერტიფიკატი




ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული
პროდუქციის იმპორტის ნებართვა



ვეტერინარული სერტიფიკატი




გემის სანიტარიული კონტროლისგან გათავისუფლების/გემის
სანიტარიული კონტროლის ჩატარების მოწმობა



2022 წელს საზღვარზე დასენიანებული რეგიონიდან გადაადგილებულ პირებზე გაიცა 40 ვაქცინაციის მოწმობა.

არაცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველთა საკვების კონტროლი




2022 წელს მცენარეულ ცხიმზე დამზადებულ სურსათში ტრანსცხიმების შემცველობის ლაბორატორიული კვლევას დაექვემდებარა 54 ნიმუში.

საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლი


ლურჯ დერეფანში განსაზღვრული შემოწმებული
დეკლარაციების რაოდენობა



ბრძანებით დანიშნული კამერალური/გასვლითი
შემოწმებების რაოდენობა



აქტებით/შუალედური აქტებით დასარიცხი თანხა




საბაჟო მიმართულებით გამოვლენილი სამართალდარღვევები

2022 წელს, საბაჟო კონტროლის შედეგად გამოვლინდა 54 739 სამართალდარღვევის ფაქტი, 47 212 საბაჟო სამართალდარღვევის ფაქტზე სანქციის სახით დარიცხულმა თანხამ შეადგინა 48 884 297 ლარი, ხოლო 7 372 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე სანქციის სახით დარიცხულმა თანხამ შეადგინა 1 554 038 ლარი.

სამართალდარღვევები


გამოვლენილი სამართალდარღვევების რაოდენობა წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით გაიზარდა 13 %-ით. ამასთან, 14 %-ით გაიზარდა საბაჟო სამართალდარღვევების რაოდენობა.

2021 წელი




- საბაჟო სამართალდარღვევა
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევა
- საბაჟო გამშვებ პუნქტებზე გამოვლენილი საგამოძიებო ორგანოსთვის გადაცემული

2022 წელი



- საბაჟო სამართალდარღვევა
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევა
- საბაჟო გამშვებ პუნქტებზე გამოვლენილი საგამოძიებო ორგანოსთვის გადაცემული


სახელმწიფო საზღვარზე ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების, იარაღის, ძვირფასი ლითონების და სიგარეტის უკანონო გადაადგილებასთან დაკავშირებული სამართალდარღვევების რაოდენობა.



საგადასახადო მონიტორინგი


მიმდინარე კონტროლის პროცედურები

2022 წელს განხორციელებული მიმდინარე კონტროლის პროცედურების რაოდენობა



კანონშესაბამისობის პროგრამებით გათვალისწინებული პროცედურები ¹

2022 წელს კანონშესაბამისობის პროგრამების ფარგლებში განხორციელებული აქტივობები




¹ 2022 წელს დეკლარაციის წარმოდგენილი ინფორმაციის ვალიდაციის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული 27 039 სატელეფონო კომუნიკაციის გარდა გაიგზავნა 966 137 შეტყობინება

აუდიტი

დასრულებული
საგადასახადო
შემოწმებების რაოდენობა **3 458**


2022 წელს დასრულებული
შემოწმებების გადანაწილება
ტიპების მიხედვით



■ სრული გასვლითი
■ სრული კამერალური
■ თემატური კამერალური

დასრულებული
დეკლარაციების სისწორის
კონტროლის რაოდენობა **20 949**

2022 წელს დასრულებული
დეკლარაციების კონტროლის
გადანაწილება გადასახადების
სახეების მიხედვით




■ საშემოსავლო და მოგების გადასახადის
დეკლარაციები
■ დღგ-ის დეკლარაციები

ინდივიდუალურად
განხილული ბედმეტად
გადახდილი გადასახადების
დაბრუნების განცხადება **6 287**


ინდივიდუალურად
განხილული
განცხადებებიდან
დაბრუნებული თანხა **38 633 020**
ლარი

2022 წელს აუდიტის დეპარტამენტის მიერ აღსრულებულია 1 256 დავის გადაწყვეტილება, რომელზეც სულ დარიცხული 409 315 578 ლარიდან შემცირებულია 68 941 197 ლარი.

2022 წელს აუდიტის მიერ
აღსრულებული დავების
გადაწყვეტილებები




აუდიტის მიერ
დავების გადაწყვეტილებებით
შემცირებული თანხები




დაჯამი

გასაჩივრებული და დასრულებული საქმეების რაოდენობა
(2022 წელი)




2022 წელს შემოსავლების სამსახურში
დასრულებული დავების შედეგები




- გადამხდელის საჩივარი დაკმაყოფილდა სრულად
- გადამხდელის საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ
- გადამხდელის საჩივარი არ დაკმაყოფილდა

2022 წელს სასამართლოში
დასრულებული დავების შედეგები



- გადამხდელის საჩივარი დაკმაყოფილდა სრულად
- გადამხდელის საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ
- გადამხდელის საჩივარი არ დაკმაყოფილდა

2022 წლის საჩივრების დასრულების ვადები



გორგასლის ქ. N16, 0114

2 299 299

info@rs.ge

www.rs.ge